ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 მაისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის გაგრძელ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ სვეტამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 52 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 52

ამხანაგებო! შეგვაძლიერეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიურო აცხადებს, რომ უფასოთ და ფასდადებით წიგნები არავის გაეგზავნება.

ჩოჩხათის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ

ეგნატე ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცდასამი წლის შესრულების აღსანიშნავად, კვირას, მაისის 21, ეგნატეს სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (სად. ჯუმათთან) ეგნატეს საფლავზე მოხდება პატივსაცემი ყრილობა, რომლის დროსაც გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და გაიხსნება ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ამისათვის ხსენებული კომიტეტი მოუწოდებს, როგორც გურიის, აგრეთვე სხვა ადგილების კომიტეტებსა და საზოგადოებათ, თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ და პატივი სცენ მათთვის ტანჯულ ადამიანს.

გულ დაწყვეტილი მეუღლე სოფიო ნესტორის ასული და მისი ბიძაშვილი პელაგია ფარსადანის ასული ალავიძისა, აგრეთვე განსვენებულის თანამოსამსახურე მუშები თფ. ქ. ელექტ. სადგურისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

პარმენ ივანეს ძე ჯანგიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 20 მაის, დღისით 12 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 2—2

24 მაისს, ოთხშაბათს ქ. ოზურგეთში ალექსანდრე ნევსკის სასაფლაო ეკლესიაზე დილის 10 საათზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

ვერა ურუშაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს განსვენებულის დები მარო და კასინი და ძმა ვასო ურუშაძეები, დისწულები ბუჟუკა და ტოგო შავიშვილები.

სოციალ-დემოკრატიული გამოცემა.

საოლქო და თფ. კომიტეტებმა მოაწყვეს სოც.-დემოკრატიული წიგნაკებისა და ბროშურების გამოცემა რუსულსა და ადგილ. ენებზე. იცემა წიგნები თანამედროვე საკითხების შესახებ. ამ ჟამათ მზათაა გასაყიდათ „პარტიის პროგრამა", ყველა ენებზე: „კრიტიკა აგრარული პროგრამისა", მასლოვისა, ფასი 15 კ.; „საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ", ფ. 15 კ.; „რას იძლევა დემოკრატიული რესპუბლიკა", ფ. 7 კ.; სამი უკანასკნელი ბროშურა რუსულ ენაზეა. იბეჭდება და ამ დღეებში მზათ იქნება: „ძირს სოციალ-დემოკრატია" ბრაკესი, რუსულ ენაზე; „კომუნისტური მანიფესტი" და „ოთხი ძმა" ქართულ ენაზე. მალე დაიბეჭდება: „დემოკრატიული რესპუბლიკა" და „48 წლის რევოლუცია საფრანგეთში", ქართულ ენაზე.

გარდა ამისა საწყობში მოიპოვება ძველი გამოცემული: „ძირს სოციალ-დემოკრატია" ბრაკესი, „პროგრამები პოლიტიკური პარტიებისა", „ანარქიზმი და მუშათა კლასი", „ისტორიული მატერიალიზმი", ნ. რამიშვილისა და სხვა ქართულ ენაზე. ნისიათ წიგნები არავის გაეგზავნება.

მე-2 უბნის სასურსათო კომიტეტი ქ. თფილისში.

მოწოდება.

მოქალაქენო! მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი უკვე შესდგა. დარწმუნებული ღრმათ რომ თქვენ გრწამთ დროებითი მთავრობის პრინციპები—„ხალხმა თვითონვე უნდა აკეთოს თავის საქმე", მოგიწოდებთ დაგვეხმაროთ ახალ სასურსათო ორგანიზაციის შექმნა გამტკიცებაში, აღმოგვიჩინოთ ყოველ მხრივ დახმარება პირველ მოთხოვნის საგნების, როგორც მომხმარებელთა შორის წილის გამორკვევაში, ისე ამ საგნების მათ შორის სამართლიანათ განაწილებაში.

მოქალაქენო! თქვენი შეუმჩნეველი არაფერი დარჩება, ამიტომ ყოველივე ბოროტ მოქმედებაზე, სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე: როგორიც არის ნიხრის დარღვევა, სურსათის გადამალვა, სპეკულიაცია, უსუფთაობა და სხვა თქვენ მიერ შეკრებილი ამაზე გარკვეული ცნობები მყისვე უნდა იქნეს საუბნო სასურსათო კომიტეტში გადაცემული.

ყოველივე უწესოება სასურსათო ნიადაგზე, შეაჩერებს დაწყებულ დიდებულ საქმეს რუსეთის რევოლიუციის და თავისუფლების დამყარებას.

თქვენ კი მოქალაქენო-მოვაჭრენო, თქვენი ვალია ამ მძიმე დროს დაეხმაროთ მცხოვრებლებს პირველ მოთხოვნილების საგნების გაიაფებით და ყოველივე სავალდებულო დადგენილების და ნიხრის წმინდათ დაცვით.

მოქალაქენო! ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი შრომით, დახმარება აღმოუჩინოთ სასურსათო კომიტეტს, მობრძანდით ჩასაწერათ კომიტეტის კანტორაში ჭავჭავაძის ქ. № 9. დილის ს.—1 საათ.

2— კომიტ. თავმჯდომარე ზ. ბიჭაშვილი, თავმჯ. ამხ. ტიშკოვი კრავეც.

კვირას, 21 მაისს რეალურ სასწავლებელში მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, აგრეთვე წევრი პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტისა ა. გ. ზურაბოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

სამინისტროს კრიზისი და დემოკრატიის უახლოესი მიზნები

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სასახლეში პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროში.

ამხანაგებო მოქალაქენო!

საორგანიზაციო კომიტეტი ბუხგალტერთა და კანტორის მოსამსახურეთა კავშირისა იწვევს პროფესიის ყველა ამხანაგებს კავშირის დამფუძნებელ კრებაზე. კავშირის წესდების დასამტკიცებლათ და გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევათ.

კრება შესდგება ორშაბათს, 22 მაისს დილის 11 საათზე ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში, პუშკინის ქ. № 3. სთხოვენ ამხანაგებს უსათუოთ დაესწრონ კრებას.

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

აუწყებს მცხოვრებთ, რომ 1 ივნისიდან

ლიმონათის გაყიდვა

სავსებით აკრძალულია. 2—1

აღმასრულებელ კომიტეტის კომისარიატი ქ. თფილისისა საყოველთაოთ იუწყება, რომ არავის (როგორც კერძო პირთ ისე დაწესებულებებს)

უფლება არ აქვთ გამართონ ქუჩაებით ფულის მოგროვება

ქუჩებში კომისარიატის ნებადაურთველათ. მასთან ყოველივე მოგროვებული ფულის ანგარიში უნდა წარუდგინოს თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის კომისარიატს.

2—1 **კომისარიატი.**

21 მაისს სახელოსნო უპრავაში დილის 10 საათზე დანიშნულია

გოჭების მოხელეთა (გონდრეგი) კრება,

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, როგორც მუშებს, ისე ოსტატებს კრებას უეჭველათ დაესწრონ.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.

მუშათა და გლეხთა ყრილობა.

მეტი საპასუხისმგებლო მომენტში იკრიბება ეს ყრილობა. მრავალი მწვავე საკითხებია წამოყენებული ცხოვრებისაგან, რომელთაც დაუყონებლივ გადაწყვეტა ეჭირვება. შეძლებული კლასები, ცენზიანი საზოგადოება უკვე ძველი რეჟიმის დროს იყო ფართოთ შეკავშირებული სხვადასხვა სამრეწველო და საეროობო ორგანიზაციებში. ბურჟუაზიამ საკმაოთ ისარგებლა ომის მიერ წამოყენებულ საკითხებით და მათი დაკმაყოფილების ნიადაგზე მრავალი მძლავრი კავშირების ქსელი გაება მთელ რუსეთში.

მართალი იყო მილიუკოვი, როცა მან რევოლიუციის პირველ დღეებში განაცხადა ხალხის წინაშე თავრიდის სასახლეში:

ბურჟუაზიული წრეები უკვე შეკავშირებულ ძალას წარმოადგენენ და მათ შეუძლიათ დაუყონებლივ აიღონ ხელში მართვა-გამგეობაო.

არ იყო შეკავშირებული მხოლოდ დემოკრატია. მის კავშირებს და ორგანიზაციებს ძველი რეჟიმი მხოლოდ თავის სისასტიკით სდევნიდა. ამიტომ დემოკრატიას თვით რევოლიუციის პროცესში დასჭირდა თავის რაზმების დაწყობა და ასე რევოლიუციურ არმიათ ჩამოყალიბება.

პირველი მაგალითი პეტროგრადის მუშებმა და სალდათებმა მოგვცეს. რევოლიუციის პირველ დღესვე პეტროგრადში დაარსდა მუშათა და სალდათთა საბჭო. მას აქეთ მესამე თვე გადის და თვალუწვდენელი რუსეთის მრავალმილიონიანი დემოკრატია განუწყვეტლივ აფართოვებს და აღრმავებს თავის კავშირებს, ახალახალ ელემენტებს იერთებს.

დემოკრატიის შეერთება—ეს რევოლიუციური ძალის გამაგრებაა, მოძრაობის გაღრმავება და გაფართოვებაა.

და აი ჩვენ ვხედავთ, რამდენათაც მუშათა, გლეხთა და სალდათთა სიმზდების რიცხვი მატულობს, მათი აზრი და ნება სურვილი ყალიბდება, იმდენათ თვით რევოლიუციურ მოძრაობას მეტი დემოკრატიული ხასიათი ეძლევა, მისი ტალღები მაღლა-მაღლა იწევს. ამ მხრით დღევანდელი ყრილობა ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა კავკასიის ცხოვრებაში.

და ეს არა იმიტომ, რომ იგი დემოკრატიის ყრილობაა. არამედ უმთავრესათ იმიტომ, რომ აქ ინასკვება ერთობის მტკიცე ჯაჭვი ორი მთავარი დემოკრატიული არმიის—მუშათა და გლეხთა შორის. ჯარი, რომელიც რევოლიუციაში დიდ მონაწილეობას იღებს, ამ კლასების წიაღიდან გამოსულია. იგი მხოლოდ დროებით წარმოადგენს ჯარს. ხოლო მისი მოქმედება ერთიანათ ამ ორი სოციალური ელემენტის ინტერესების და მოთხოვნილებების გარშემო ტრიალებს. კითხვები, ჯარსაც იგივე აინტერესებს, რაც მუშას და გლეხს.

მუშათა კლასი დიდი ხანია ჩაბმულია რევოლიუციურ ბრძოლაში. იგი მეთაური და მოწინავე რაზმია მიმდინარე რევოლიუციის, მისი შტაბი და პოლიტიკური ხელმძღვანელია ამ დიდ გადატრიალების.

ჯარი და გლეხობა ამ საკითხში მას გვერდით უდგანან, მხარს უჭერენ და ამით რევოლიუციის გამარჯვებას უზრუნველყოფენ.

მუშათა კლასს არ შეეძლო ამ რევოლიუციის მარტოთ მარტო მოხდენა. არა მარტო იმიტომ, რომ იგი შედარებით მცირე რიცხოვანია, არამედ იმიტომაც, რომ რევოლიუციის ერთი მთავარი კვანძთაგანი, სოფლის ცხოვრებაშია დამარხული. ეს კვანძია გლეხთა განთავისუფლება ფეოდალ-მემამულეთა ბრჭყალებისაგან.

ამიტომ ეს რევოლიუცია არის პირველ ყოვლისა მოძრაობა ფეოდალურ ნაშთების წინააღმდეგ, რაიც ყველაზე მეტი გლეხს უხუთავს სულს და კულტურულ ცხოვრებაში ჩარევის საშვალებას უსპობს. ამიტომ ამ რევოლიუციის მთავარი ეკონომიური მიზანი—ეს აგრარული ურთიერთობის გადაჭრაა. მემამულეთა კლასი, როგორც დამცველი ძველი რეჟიმის, და მემამულეთა მიწათმფლობელობა, როგორც მიზეზი მილიონ გლეხთა დამონების და დამორჩილების, აი რა უნდა წალეკოს დღევანდელმა მოძრაობამ პირველ ყოვლისა.

ხოლო მიწის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია გლეხების ჩაურევლათ, მიწის მუშის აზრის და ნების გამოუთქმელათ.

მათ მოძრაობაში ჩაბმა და კავშირში ჩადგომა მუშათა კლასთან—ეს ძველი წყობილების ნაშთის ძირბუდიანათ ამოგდების თავდებია.

ქალაქებში მხოლოდ პოლიტიკური წყობილებაა შესაცვლელი, სოფლათ კი თვით ეკონომიური საფუძველი, თვით ეკონომიური ურთიერთობა უნდა ბუდიანათ შეირყეს და გადატრიალდეს, გუშინდელი ეკონომიური მონა თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდეს.

აი ამიტომ გლეხთა და მუშათა ყრილობა—დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, იგი მთელი ეპოქაა ჩვენს ცხოვრებაში.

კავკასიის სოფლის და ქალაქის მუშები, დიდი ხანია ერთ რაზმში დგანან და ერთი მეორის მხარდამხარ სიარულს შეჩვეული არიან. წარსულ რევოლიუციურ მოძრაობის ხანაში, 1905 წ. გამარჯვების და შემდეგ დამარცხების წლებში მათ ერთათ, ძმ[ურ]ათ ხელი-ხელ ჩაკიდებული უვლიათ თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე. და დღესაც, როცა ეს სანატრელი თავისუფლება მოპოვებულია, მათი ძმობა და კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება.

ასეთი კავშირი ეხლა ერთი ორათ უფროა საჭირო. დღეს იწყება შენება ახალი წყობილების, აგება თავისუფლების ტაძრის. და ეს უფრო რთული და ძნელი საქმეა—ვინემ ძველი წყობილების დანგრევა.

ამას ერთი ორათ მეტი დაკვირვება და გონიერების გამოჩენა სჭირია. მთელი რიგი კითხვები სდგას დღევანდელ ყრილობის წინაშე. თვითეული მათგანი ქვაკუთხედია ამ ახალ შენობის, „თავისუფლების ქებული ტაძრის", და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მათ გადაჭრაში გლეხები და მუშები ისეთსავე ერთსულოვნებას, ისეთსავე ენერგიას და ნიჭს გამოიჩენენ, როგორც ნიკოლოზის ტახტის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინეს.

საფრანგეთის სოციალისტები.

ერთი მეორეზე ეცემა დაბრკოლებები, რომელიც ედგა წინ საერთაშორისო მუშათა კავშირის განმტკიცებას. ყველა ქვეყნის პროლეტარიატში, რუსეთის მძლავრი რევოლიუციის გავლენით იღვიძებს კლასობრივი გრძნობა მუშათა სოლიდარობის. გერმანიის მუშათა კლასს როგორც სოციალდემოკრატთა უმცირესობას, ისე უმრავლესობასაც პირველმა გადაადგმევია ნაბიჯი საერთაშორისო შეთანხმებისაკენ.

მოსალოდნელი იყო უფრო მეტი წინააღმდეგობა საფრანგეთის სოციალისტებისა. ჩვენ მოკავშირეთა სახელმწიფოების დემოკრატია აქამდე მტრულ განწყობილებას იჩენდა გერმანიის ს.-დ. მუშათა პარტიის უმრავლესობისადმი, რომელსაც თავდამსხმელობის ერთ-ერთ მომხრეებათ თვლიდა და მასთან რაიმე კავშირის დაჭერაზე უარს ამბობდა.

ამით ინტერნაციონალის მთავარი ძალა ორათ იყოფოდა. საფრანგეთის და ინგლისის მუშებმა ყველა წინანდელი ცდა—საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ჩაშალეს და საერთაშორისო მუშათა ბიუროს სეკრეტრის—გიუისმანსის თაოსნობა უნაყოფოთ დასტოვეს. ვერც ნეიტრალურ სახელმწიფოთა შუამავლობამ გასჭრა ამ მხრით. ამრიგათ ორი მთავარი ფრთა ინტერნაციონალის, ორი უძლიერესი ნაწილი განზე იცქირებოდა, ევროპა ომით ორათ გაყოფილი ინტერნაციონალსაც ორათ ხლეჩდა.

დღეს პეტროგრადის მუშათა საბჭოს ინიციატივით ამ გარემოებას ბოლო ეღება.

რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის მოწოდებამ საფრანგეთის სოციალისტთა უმრავლესობაც აიძულა ეს ზღუდე, ომით ამართული, გადაელახა და გერმანიის მუშათა კლასისთვის ძმური ხელი გაეწოდებია.

გუშინ დაბეჭდილ დეპეშიდან ვტყობილობთ, რომ საფრანგეთის სოციალისტთა ნაციონალურმა საბჭომ **ერთხმათ** მიიღო წინადადება სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

ამნაირათ, დღეს სოციალისტურ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც პეტროგრადის მუშათა საბჭო იწვევს, ყველა პარტიები და ჯგუფები ესწრებიან გარდა ლენინის და პლეხანოვის ჯგუფისა რუსეთში და ზოგიერთ წრეებისა ინგლისის ოპორტიუნისტებიდან. მხოლოდ ეს მემარჯვენე ფრთები გამოეთიშენ საერთო საქმეს, მუშათა კლასის საერთაშორისო დიად მიზნისთვის შეერთებულ სამსახურს: ომისა და ზავის საკითხის გადაჭრას. ომის ლიკვიდაცია საერთაშორისო მასშტაბით უნდა მოხდეს, ეს საერთო ლოზუნგია. საერთაშორისო მასშტაბი კი თხოულობს სოციალისტურ მუშათა პარტიებისაგან **შეთანხმებულ და წინასწარ** მიზან-შეწონილ, და ერთდროულ მოქმედებას ყველა ქვეყნებში; საერთაშორისო იმპერიალისტების ალაგმვა მხოლოდ საერთაშორისო მუშათა კავშირს შეუძლია.

დღეს ასეთი კავშირის შეკვრა უზრუნველყოფილია.

ამით იმპერიალიზმს სასტიკი და ძლიერი მტერი უჩნდება, საშინელ და გაუთავებელ ომს კი მესაფლავე.

ზავის საქმე მკვიდრ და სანდო ძალის ხელში გადადის, და მისი ჩამოგდება მოახლოვებულია.

ფრიდრიხ ადლერი.

ფრიდრიხ ადლერის სიკვდილის განაჩენმა მთელი რუსეთის შეგნებული მუშათა კლასი აალელვა. მრავალ ქალაქებში და მუშათა ცენტრში ადლერის სასარგებლო აგიტაციას

სოფ. ლანირში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი

ფაცია ნესტორის ასული გალდავა-ოსილოვისა.

რასაც აუწყებენ ყველა ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობთ, დაკრძალვა სოფ. ლანირში კვირას 21 მაისს დილის 9 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაზე.

ეწევიან; მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებზე, სახალხო მიტინგებზე, რომელზედაც დიდძალი მოქალაქენი და სალდათები ესწრებიან, რეზოლიუციები გამოაქვთ და ავსტრიის ჯალათებს სასტიკ ზიზღს უცხადებენ, და ადლერის სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვენ. რუსეთის დემოკრატია საერთაშორისო მუშათა კლასს მოუწოდებს სიკვდილით დასჯა საბოლოოთ დაგმოს. განსაკუთრებით იგი ამხედრებულია ისეთ ადამიანების დასჯის წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ მოქმედებით ბურჟუაზიული სამართლიანობას, ბურჟუაზიული უფლებრივ შეხედულებას სისტემატიურათ ასამარებდა და თვით „დანაშაულის" დროსაც კი იგი საერთაშორისო დამოკრატიას უდიდეს სამსახურს უწევდა. თვით უსამართლო და უმგვანო ავსტრიის გაბატონებული კლასების საზოგადობრივმა ურთიერთობამ, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის აუტანელი და მომწამვლავი ძალთაგანწყობილება, რომელმაც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საუკეთესო ხელმძღვანელი, მისი სიამაყე და მშვენება ფრიდრიხ ადლერი იძულებული გახადა ჯალათის— ავსტრიის პრემიერ-მინისტრ შტიურგკის სისხლი დაენთხია. ავსტრიის ტახტის დესპოტიზმმა შექმნა ისეთი პოლიტიკური ატმოსფერა, როცა ავსტრიის უდიდესი ნაწილი სისხლის მორევში ცურავდა და ხალხის საუკეთესო შვილებს კი საშუალება არ ჰქონდა ამ უსამართლოების წინააღმდეგ ხმა ამოეღოთ და საერთაშორისო იმპერიალისტური ომის საშინელებები დაეგმოთ.

მინისტრ-პრეზიდენტმა შტიურგკმა ავსტრიის დესპოტიზმის მთელი ისტორიული ნაცადი ხერხი, მეტერნიხის ბარბაროსული ბრძოლის საშუალებანი შეითვისა და მან ამ მსოფლიო ომის ხანაში პოლიტიკური თავისუფლების ნასახიც კი აღარ დასტოვა ავსტრიაში. მან ავსტრიის 1848 წლების კონტრ-რევოლიუციონური საშუალებები აამოქმედა და ავსტრიის მუშათა კლასს, კრების, სიტყვის და აზრის თავისუფლება მოუსპო. ერთი სიტყვით ავსტრიის პრემიერ-მინისტრ შტიურგკმა ძველი რუსეთისა და ჩინეთის ჯალათური წესები გაამეფა და მთელ ხალხს წინ სიკვდილის აჩრდილი დაუყენა.

აი, ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში ხალხის საუკეთესო გულშემატკივარი იძულებული ხდება ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელსაც თითონ პრინციპიალურათ არც წინეთ და არც ეხლა იზიარებს. იგი ხელში რევოლვერს იღებს და მინისტრ-პრეზიდენტს სიცოცხლეს უსპობს.

თვით მკვლელის მამამ ვიქტორ ადლერმა მთელი გერმანია ავსტრიის სოციალდემოკრატების სახელით არ მოიწონა შვილის ასეთი ნაბიჯი.

მაგრამ აქ დამნაშავე თვით შტიურგკის მართველობითი სისტემაა. იქ, სადაც მასა გათიშული დარჩა, ფრიდრიხ ადლერი აქტიურ ნაბიჯს სდგამს და ამ ნაბიჯით ავსტრიის დემოკრატიის საერთო ბრძოლის დაწყებისაკენ მოუწოდებს.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ვიქტორ ადლერისა და კარლ ლიბკნეხტის, ანუ სწორეთ ვსთქვათ ინტერნაციონალისტების ხმაშეხედულება კვლავ ცხოველმყოფელი გახადა და რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ახლა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი მსოფლიო ომის გაგრძელების წინააღმდეგ ხმას იმაღლებს და დროებით შეჩერებული ინტერნაციონალი კვლავ მეტი სიძლიერით სდგება. ვიქტორ ადლერმა სიკვდილის განაჩენის გამოცხადებისთანავე ხმა მაღლა შესძახა: „გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციონურ სოციალ დემოკრატიას". დიდ ადლერის ეს უკანასკნელი სიტყვები მთელ საერთაშორისო ინტერნაციონალისტებს მცნებათ გადაექცეს, რომ ავსტრიის ჯალათებს ხელი შეუშალონ და ფრიდრიხ ადლერი სიკვდილით დასჯისაგან გაანთავისუფლონ.

იმ დროს, როცა საერთაშორისო პროლეტარიატი მსოფლიო ომის მოსპობისათვის დაირაზმა და ძმათა შორის სისხლის ღვრას ბოლოს უღებს, სწორეთ ამ დროს საერთაშორისო ომის წინააღმდეგ პირველ მოციქულის ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯა საერთაშორისო პროლეტარიატისთვის გულში ლახვრის ჩაცემა იქნება. ამიტომ რუსეთის პროლეტარიატი და მასთან ერთად თფილისის მუშათა საბჭო, რომელმაც თავის საგანგებო კრებაზე დაადგინა ადლერის სასარგებლოთ დღეს მანიფესტაციები გაიმართოს ადლერის სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ, სასტიკ პროტესტს განაცხადებს და მით მუშათა კლასის საუკეთესო შვილის სიცოცხლეს დაიცავს.

ეგნატე ნინოშვილი.

დღეს, 21 მაისს ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 23 წლის თავის აღსანიშნავათ, სუფსის რაიონული ს. დ. ორგანიზაციას გადაუწყვეტია ნინოშვილის საფლავზე სამოქალაქო პანაშვიდი გამართოს და მოუწოდებს ყველა თანამოაზრეებს თავიანთი დელეგატები გამოგზავნონ მათთვის ტანჯული ადამიანის საფლავის პატივსაცემლათ.

დიახ ეგნატე ნინოშვილის ღვაწლი მუშათა კლასის გათვითცნობიერებისათვის, განსაკუთრებით ქართველებისათვის დაუფასებელია. მან ჩვენს ლიტერატურაში პირველათ აღიმაღლა ხმა იმ კლასების წინააღმდეგ, რომლებიც თანამედროვე ბურჟუაზიული წარმოების წესების მეოხებით დაქირავებულ მუშათა კლასს და სოფლის წვრილ გლეხობას ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ბატონობდენ. ის მთავარი, მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი პრინციპები, მისი მსოფლმხედველობა, რომელთაც მუშათა კლასის მოძღვრებას საფუძვლათ დაედო—ეგნატე ნინოშვილმა პროზისა და მოთხრობების მეოხებით გააშუქა და მით დაბეჩავებული კლასის შემეცნება გააფართოვა. იგი მარქსისტული თვალსაზრისით ეკონომიურ და სოციალური მოვლენების გაშუქების პირველი მოციქული იყო და ამ ნიადაგზე დიდი ღვაწლი მიუძღვის, მთელი ახალი დემოკრატიული თაობა მის თვალსაზრისს ითვისებდა, გონებას ნინოშვილის შეხედულებით ილესავდა.

მისი მოქმედების ასპარეზი თვით პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობით იყო გამოწვეული. რუსეთის იმ დროის პოლიტიკური მდგომარეობა თვით რუსეთის პოლიტიკოსებსა და ინტელიგენტურ ძალებს იძულებულ ხდიდა სოციალურ-ეკონომიურ მოვლენების გასაშუქებლათ მოთხრობა-რომანები აერჩიათ. თავიანთ შეხედულებას სწორეთ ამ გზით ხატავდენ. თვით ჩერნიშევსკიმ თავის სოციალურ შეხედულების გამოსახატველათ რომანი „რტო დელატ" დასწერა, რომელსაც რუსეთის დემოკრატიის გულშემატკივრები გატაცებით კითხულობდენ. და განა მარტო ჩერნიშევსკი? მესამოცე წლების ლიტერატორების დიდი უმრავლესობა რომანების და მოთხრობების მეოხებით აშუქებდენ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებს.

ჩვენმა ეგნატე ნინოშვილმა ამ გზით გაუწია დიდი დაუფასებელი ღვაწლი ქართველ მშრომელ კლასს. მისი მოთხრობები მუშათა კლასისათვის ხელიდან განუშორებელი წიგნებია და მის თვალსაზრისზე იზრდება მთელი ჩვენი დემოკრატიული ახალი თაობა.

თვით ინტელიგენტურ წრეშიაც მან დიდი აზროვნების რევოლიუცია მოახდინა. ეგნატემ თავის წიაღიდან წარმოშობა მესამე დასი, რომელმაც მომავალ მუშათა კლასის პოლიტიკურ ზრდის მევლობას სათავეში ჩაუდგა და დღეს იმ ზომამდის მიიყვანა, რომ იგი საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობაში საპატიო ადგილს იკავებს.

მისი ხელმძღვანელობით შედგა პირველი წრე ჩვენი მარქსისტების, საიდანაც შემდეგ ეს ხელმძღვანელები გამოვიდენ; ამით იგი ჩვენი სოციალ-დემოკრატიის მამამთავარია, მისი პირველი მერცხალი და მესაიდუმლე.

დიდია ნინოშვილის ღვაწლი და უკვდავია მისი სახელი: ხელთუქმნელია ის ძეგლი, რომელიც მან დაიდგა ხალხის გულში და ამ ხალხის ხელით უნდა დაედგას მას ძეგლი, რომელიც მისი დიდების გარეგანი გამოხატულება იქნება.

პრესა.

ამ დღეებში გაიხსნა კავკასიის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობაზე შეხლა-შემოხლა გამოიწვია პრეზიდიუმის არჩევნებმა. საქმის გაჭიანურება რომ არ მომხდარიყო, უმთავრეს ჯგუფებ შორის, რომლებსაც წარმოადგენდენ სოც. დემოკრატები და სოც.-რევოლიუციონერები, მოხდა შეთანხმება ადგილების განაწილების შესახებ პრეზიდიუმში. მაგრამ ამას წინააღუდგენ წვრილი პარტიები და ჯგუფები, რომელთაც მოისურვეს პრეზიდიუმში თავის წარმომადგენლებიც ყოლოდათ, რისთვისაც პროპორციონალური არჩევნების პრინციპი წამოაყენეს.

ასეთ არჩევნების წინააღმდეგი ვინ იქნებოდა? ჩვენმა ამხანაგებმა ეს აღნიშნეს და განაცხადეს, ჩვენ ხმას ვერ მივცემთ ასეთ არჩევნების წინააღმდეგ, მარა რადგან ბლოკი გვქონდა შეკრული, თავს ვიჭერთ, ზოგიერთა ამხანაგთაგანი ასეთ თავდაჭერასაც უსაყვედურებდენ დანარჩენთ. ეს იყო და ეს.

ფედერალისტების უშიშარი რაინდები კი ამ ფაქტის გამო ბუკსა და ნაღარას სცემენ და თავის მკითხველებს შემდეგი ტყუილით კვებავენ:

„ჩვენი ნაფიცი „სოციალისტები" გაშმაგებით ეომხედრდნენ ასეთ წინადადებას. ხოლო საბედნიეროდ, რუსის სოც.-დემოკრატებსა და ს.-რევოლიუციონერებს შორის აღმოჩნდნენ პირები, რომლებიც ვერ შეურიგდნენ მსგავს ძალმომრეობას და ხმამაღლა გამოაცხადეს: აქ სოციალისტების სახელით სრულიად არა-სოციალისტები გამოდიან და გაოცებულნი ვართ, როგორ ბედავენ სამართლიანი პროპორციონალური არჩევნების წინააღმდეგ გამოლაშქრებასაო.

ამ განცხადებამ შთაბეჭდილება მოახდინა, ბლოკი შეირყა, გახეთქილება ჩამოვარდა. ს.-რევოლიუციონერები ბოლომდის არ გაჰყვნენ ს.-დემოკრატებს უსამართლობაში ყრილობის უმრავლესობამ ბოლოს მხარი მისცა პროპორციონალურ არჩევნებს.

ს. დემოკრატები გარიყულნი დარჩნენ, შერცხვენილნი და დამარცხებულნი. გაიმარჯვა ს.-ფედერალისტების პრინციპმა".

ზემო თქმულიდან აშკარაა, რომ ფედერალისტები თავის მკითხველს გულს უკეთებენ, ნუ გეშინიანთ, მტერს ვამარცხებთ, ჩვენი პრინციპები იმარჯვებსო. ეს თავის თავის მოტყუებაა, მკითხველის აბუჩად აგდებაა. ნამდვილათ კი აი ფაქტიური საქმის მდგომარეობა. ყრილობას არჩეული ჰყავს 23 პირი პრეზიდიუმში, ამათში სოციალდემოკრატი 7, ს.-რევოლ. 4, სოც.-ფედ. 4, კონ. დემ. 3. დანარჩენთ თითო ორ-ორი წევრი ჰყავთ უპარტიოთ, დაშნაკელთ, მუსულმანთ და სხვ.

ამნაირათ „გარიყული, შერცხვენილი და დამარცხებული სოციალდემოკრატები" პრეზიდიუმში თითქმის მესამედს შეადგენენ, თვითეულ სხვა პარტიებთან შედარებით კი ორჯერ მეტი არიან.

ასეთია სოც.-დემოკრატების „მორიგი დამარცხება".

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 16 მაისი.)

ვანდერველდის საუბარი ჟურნალისტებთან.

მოსკოვი. 17 მაისი. ბელგიის სოციალისტი ვანდერველდე ჟურნალისტებთან საუბრის დროს უანექსიო ზავის საკითხს შეეხო და მან განაცხადა: ბელგიის სოციალისტები საჭიროთ სთვლიან სომხეთი ოსმალეთიდან განთავისუფლდეს, ელზას-ლოტარინგია საფრანგეთს უნდა შეუერთდეს, ხოლო ტრენტინოს მცხოვრებნი იტალიას. ეს ანექსია კი არ იქნება, არამედ დეზანექსია. ეჭვს გარეშეა ბელგიის სოციალისტები კონტრიბუციის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ სულ სხვაა სამხედრო კონტრიბუცია და სულ სხვაა ზარალის ანაზღაურება. გერმანიამ დაზარალებულ ქვეყნებს ზარალი უნდა აუნაზღაუროს, ამისათვის კი საჭიროა გერმანიის დამარცხება, რაიც მოითხოვს რუსეთის გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრებას.

პოლონეთის საბჭოს მიმართვა.

სტოკჰოლმი. 15 მაისი. პოლონეთის გაზეთების ცნობით პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ ცენტრალურ იმპერიებს ორი პრინციპიალური მოთხოვნა წაუყენა, პირველი მოთხოვნა შეეხება სახელმწიფო საბჭოს მიერ რეგენტის დამტკიცებას, რომელმაც პოლონეთის სამინისტრო უნდა შეადგინოს და პოლონეთის სეიმი მოიწვიოს. მეორე მოთხოვნა შეეხება პოლონეთის დროებითი მთავრობის დაუყონებლივ შედგენას. ცენტრალურ მთავრობის კომისარმა კონოპკამ საბჭოს განუცხადა, რომ ცენტრალური სახელმწიფოების მთავრობები მათ მალე პასუხს მისცემენ.

დროებითი მთავრობის განცხადება.

ამ ბოლო დროს საზოგადოების ნაძირალები ღვინის საწყობებს ამტვრევენ, მშვიდობიან მოქალაქეთ ქონებას სტაცებენ და ამ გზით რუსეთის თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ. ამის გამო დროებითი მთავრობა იძულებული ხდება ასეთ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს და დამნაშავენი დაუნდობლად დასაჯოს.

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულება.

პეტროგრადი. სახალხო განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა: ისე აღარ გამორიცხონ მოსწავლეები, რომ უფლება არ ჰქონდეთ სხვა რომელიმე სასწავლებელში შესვლისა, წინათ ამ გვარათ გამორიცხული მოსწავლეები საზოგადო წესით უნდა მიიღონ

პროვოკატორთა ოინები კიევში.

კიევი. გუშინ ქილიანსკის ქუჩაზე, როცა ჯარისკაცები დეზერტირებს იჭერდენ, მოვიდა დეზერტირთა დიდი ბრბო, ამ ბრბოში აღმოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებმაც სიტყვები წარმოსთქვეს და მოუწოდეს ბრბოს დაძრულიყვენ ქალაქისკენ, მილიციონერებისთვის იარაღი აეყარათ და დაეცვათ ცემისაგან ჯარისკაცები. პროვოკატორებში რამდენიმე ჟანდარმი და გოროდოვოები იყვნენ. ამ სიტყვების გავლენით ბრბო ქალაქში შევიდა და გზა და გზა მილიციონერებს იარაღს ართმევდა. მოვიდენ სამხედრო დეპუტატების კომიტეტის თავმჯდომარე და წევრი და მიმართეს დეზერტირებს დაწყნარებულიყვენ, მაგრამ ვერას გახდენ. გამხეცებული ბრბო კრეშჩატიკისკენ დაიძრა და გზა და გზა ავტომობილებს აჩერებდენ. ხალხი დაფრთხა, მიიმალ-მოიმალენ. დეზერტირების წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარი და პრაპორშჩიკების სკოლა. ალექსანდროვის ქუჩაზე ბრბოს ავტომობილი გადაეღობა, რომელზედაც ჯარისკაცები იყვნენ. ჯარის კაცებმა ჰაერში თოფები დაცალეს. დეზერტირებმა იარაღი დაჰყარეს და გაიქცენ, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეგროვდენ საძმო მონასტერთან, მაგრამ იუნკრების რაზმმა ისევ გაფანტა. ქილიანსკის ჩუჩაზე დეზერტირები მოულოდნელათ თავს დაესხენ იუნკრებს და იარაღი აჰყარეს. იქვე გამხეცებულმა ბრბომ ჯარის კაცებს ტყვიის მტყორცნელი წაართვა. ჯარმა დეზერტირების ნაწილი დაატყვევა და დანარჩენები გაიქცენ. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა. ღამით გამოიცა ბრძანება უკეთუ დეზერტირებმა კიდევ მოახდინეს არეულობა, თოფები ესროლონ. საღამოს ქალაქში სრული სიწყნარე ჩამოვარდა. რამდენიმე ათას დაჭერილ დეზერტირს იცავს სამი როტა ჯარისკაცი. 1500 დეზერტირი, რომელნიც თავის ნებით გამოცხადდენ, მატარებელში ჩასვეს და ფრონტისკენ გაისტუმრეს.

რესტორანების მოსამსახურეთა გაფიცვა.

დონის-როსტოვი. გაიფიცა რესტორანების 3,000 მოსამსახურე. აღებს წარუდგინეს მოთხოვნილება, მოითხოვენ შემოსულ ფულიდან 3 პროც. მიეცეთ და საჩუქრები მოსპონ.

მუშათა მიტინგი ლონდონში.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: დღისით განდ პარკში ინგლისის მუშათა ლიგამ დიდებული მიტინგი მოაწყო. მიტინგმა სალამი უძღვნა მოკავშირე ხალხს და სურვილი გამოსთქვა, განაგრძონ ომი სრულ გამარჯვებამდე. მოწყობილი იყო 12 ტრიბუნა. წარმოითქვა მრავალი სიტყვა, მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ძმურ სალამს უძღვნის მოკავშირე ერებს, უმეტესათ ამერიკის და რუსეთის დემოკრატიას, რომელიც განთავისუფლდა თვითმპყრობელობისაგან და გადასწყვიტა სასტიკი ბრძოლა გასწიოს კაიზერიზმის წინააღმდეგ. მიტინგი ამოწმებს, რომ ომი განაგრძონ მანამდე, სანამ ევროპა არ განთავისუფლდება გერმანიის მონობის მუქარისგან და ყველა ერებისთვის არ განმტკიცდება დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ნაციონალური უფლებები. მიტინგის შემდეგ მანიფესტაცია გაემართა საფრანგეთის საელჩოსკენ. საფრანგეთის ელჩმა მუშათა დელეგაცია მიიღო. დელეგაციამ მას ადრესი მიართვა.

აფიცერთა კავშირის ყრილობის განცხადება.

მთავარი ბანაკი. აფიცერთა კავშირის ყრილობა აღნიშნავს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გაზეთში და ზოგიერთ სხვა გაზეთებშიაც ალექსეევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ცუდათ შეეხენ. ამიტომ ყრილობა აცხადებს, რომ ასეთი გამოსვლები არასასიამოვნოა და ჯარში დეზორგანიზაციას შეიტანს. აფიცერთა მთელი კორპუსი ღრმა პატივისცემით ეპყრობა გენ. ალექსეევს და მან ეს დაიმსახურა.

ტუსაღების განთავისუფლება.

ლონდონი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გაანთავისუფლოს ის პირნი, რომელთაც ბრალათ სდებდენ მუშების გაფიცვისათვის წაქეზებას.

დაჭრილ ჯარის კაცთა გადაწყვეტილება.

ბლაგოვეშჩენსკი—აქაურმა დაჭრილმა და სამსახურიდან განთავისუფლებულმა ჯარის კაცებმა სურვილი განაცხადეს უჯამაგიროთ იკისრონ დამოჟნის დაცვა და ეხლანდელი მცველები ფრონტზე იქნან გაგზავნილნი. საზოგადო დაცვის კომიტეტი მხარს უჭერს ამ დადგენილებას, მცხოვრებნი ბრალს სდებენ დამოჟნის მცველებს, რომ ჩინეთიდან სპირტი შემოაქვთო.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პარიზი. 18 მაისი. სენ-კანტენის სამხრეთ რაიონში ორივე მხრივ საარტილერიო სროლა გრძელდება. შამპანში ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეები ჩააჩუმა.

პარიზი. 18 მაისი. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით, „108" მაღლობთას საარტილერიო სროლა გაცხოველდა. შამპანში ჩვენმა ჯარმა კონტრიერიშის მეოხებით მტერს უკან დაახევია. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ბალკანეთში მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლა დაიწყო. დოვოლის ჩრდილოეთით ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს. ალბანიაში ბრიტანიის ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

ლონდონი. 19 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, არმანტიერის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. სკარპის ნაპირებთან საარტილერიო სროლა დაიწყო.

რომი. 18 მაისი. ტრენტინოს ფრონტზე ცუდი ამინდების გამო საერთო შეტევა შეჩერდა, ტონალეს პოზიციებზე მტერი მოულოდნელათ თავს დაგვესხა, მაგრამ ისინი უკუვაქციეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე როკოლანოს მიდამოებში. ვერატოს აღმოსავლეთით სოფ. ჩერედავო და ველოპოესი დავიკავეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

დეპეშა.

(საკ. კორ.)

ჯარის კაცთა სოციალ დემოკრატების ერთი ჯგუფი სპარსეთიდან სალამს უძღვნის „ერთობას", რომელსაც ინტერნაციონალის დროშა მაღლა უჭირავს. სალამი თავისუფლებისთვის მებრძოლ ჟორდანიას და ჯიბლაძეს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

მინდობილობით ევგენი ურუშაძე, პეტრიაშვილი, მიკირტიჩიანცი.

ახალი ამბები

◆ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებით დღეს, კვირას დილის 8 საათიდან გაიმართება დიდი მანიფესტაციები ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ.

ტრიბუნები იქნება: გოლოვინის პროსპექტზე, ერევნის მოედანზე, ვერის დაღმართზე. ილაპარაკებენ სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ და აგრეთვე ომზე და ზავზე. მანიფესტაციები უნდა დასრულდეს 12 საათზე. მოქალაქენი ვალდებულნი არიან წეს-რიგი დაიცვან.

◆ მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობა გაიხსნება დღეს, 21 მაისს დილის 12 საათზე სახალხო სახლში. დღის წესრიგი: მილოცვები და პრეზიდიუმის არჩევა.

◆ საორგანიზაციო კომისიის ცენტრალურმა ბიურომ 19 მაისს მომხდარ სხდომაზე პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლების თანადასწრებით დაადგინა: გადაიდოს სხდომა ოთხშაბათისთვის 24 მაისს; კომისია სთხოვს ყველა პროფესიონალურ კავშირებს გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები. დღის წესრიგი შემდეგია: 1) მანდატის დამტკიცება; 2) ცენტ. ბიუროს წესდების განხილვა და დამტკიცება; 3) კავშირთა წესდების განხილვა; 4) საერთო კონფერენციის წესრიგის განხილვა; 5) პროფესიონალურ ორგანიზაციაზე; 6) წითელი ლიტერატურა; 7) სეკრეტარიატის არჩევა; 8) არჩევნებთან დამოკიდებულება; 9) მიმდინარე საქმეები.

◆ განსაკუთრებული ამიერ კავკასიის კომიტეტის მიერ სპარსეთში გაგზავნილი დელეგაცია, რომელსაც სხვათა შორის მინდობილი ჰქონდა ქართულ პოლკში მომხდარ უწესოების გამოკვლევა 19 მაისს დაბრუნდა ქ. თფილისში. აღმოჩნდა, რომ ქართული პოლკის შესახებ გავრცელებული ხმები, ვითომ იქ არაფერი დისციპლინაა, ჯარი უფროსებს ყურადღებას არ აქცევს, ქურდებს უერთდებიანო და სხვა, ყოველ სიმართლეს მოკლებულია. პოლკში საუცხოო დისციპლინაა და ყოველთვის საომრათ დამზადებული იმყოფებიან.

◆ 19 მაისს მოხდა შეერთებული სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა. თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია. ამ სხდომაზე მოხდა შეერთება ორივე საბჭოებისა. არჩეულ იქნა საერთო პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: ნ. ჟორდანია, ა. ზურაბოვი, დონსკოი, ტუონსკი და შანშიევი. განხილულ იქნა საკითხი მუშათა და ჯარისკაცთა მომრიგებელ კომიტეტისა და ქალაქის მომრიგებელ კომიტეტის შეერთების შესახებ. დაადგინეს არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ამ შეერთებული კომიტეტის წესდება. არჩეულ იქნა კომისია დღევანდელ მანიფესტაციების წესრიგის დასაცველათ.

◆ ა. ჩხენკელმა მიიღო ბაქოში წასულ ი. რამიშვილისაგან დეპეშა. ის იუწყება, რომ ნავთის წარმოების წარმომადგენლებისა და მუშათა შორის წესიერება აღდგენილ იქნაო.

◆ პარასკევს, 19 მაისს დილით 11 საათზე მოხდა კრება ჯარისკაცების ოჯახებისა—საჭირო კითხვების გასარკვევათ. კრება გახსნა ამხ. ხელაძემ. საქმის მოსაწყობათ აირჩიეს 6 კაცი და 12 ქალი კომისიაში. კომისია შეეცდება გამონახოს რაიმე საშვალება ჯარისკაცების ოჯახების დასახმარებლათ.

◆ 15 მაისს შესდგა საზოგადო კრება გაზეთების დამტარებლებისა, პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ. მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული წესდება ცოტაოდენი შესწორებით. აირჩიეს გამგეობა 9 კაცისაგან შემდგარი.

◆ 15 მაისს შესდგა სხდომა თამბაქოზე მომუშავე პროფესიონალურ კავშირისა. აირჩიეს კომისია მინიმალური სამუშაო ქირის შესამუშავებლათ 8 საათის სამუშაო დღესთან შეთანხმებით.

◆ ტაუზის ცემენტის მუშებსა და ხაზეინის შორის მომხდარ კონფლიქტის გამო, ხაზეინებმა მოითხოვეს საქმე ცენტრალურ მომრიგებელ კომიტეტს გადაეცეს. მუშებმა თანხმობა განაცხადეს თუ მათ სამუშაო ქირას მოუმატებენ 50% ს.

◆ 19 მაისს გაიფიცენ სასტუმროებში მყოფი მრეცხავი ქალები, რომელთაც იგი მოთხოვნილებანი წამოაყენეს, რაც უკვე გაფიცულმა მრეცხავებმა.

◆ ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ლეჩხუმში გაგზავნა 44 შეიარაღებული ჯარისკაცი, რადგან იქ მილიცია არ არის, შავრაზმელები დათარეშობენ და ძველი სტრაჟნიკები შეიარაღებულნი სოფელს აწიოკებენ. ხარჯები იკისრა ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

◆ ქუთაისის მომწესრიგებელი კომიტეტი, რომელიც დაარსდა ფ—ის საბჭოს დარბევის შემდეგ დაიშალა, რადგან ქალაქში ახლა წესიერება უკვე აღდგენილია.

◆ ქუთაისის ციხის ტუსაღები თხოულობენ სეირნობის დროს გადიდებას, ციხის კამერების საღამომდე ღიათ დატოვებას და ბორკილების ახსნას, რადგან ახალი კანონით ბორკილების დადება ყოველ შემთხვევაში აკრძალულია. ამ ტუსაღთა რიცხვში არ შედიან ძველი მთავრობის მოხელენი და პროვოკატორები.

◆ გუშინ დილას, ბათომის ოლქიდან ქ. თფილისში დაბრუნდა კომისარი ა. ჩხენკელი.

◆ ქალაქის მეთერთმეტე ნაწილის სასურსათო კომიტეტმა მაისის 18-ში შემდგარ კრებაზე სხვათა შორის დაადგინა: მოახდინოს ხსენებულ ნაწილის სავაჭროთა აღწერა და მათი მისამართის აღდგენა. დაავალა კომიტეტის წევრს ე. ლომიძეს გამგზავროს გომბორში ნახშირის შესაძენათ, რომლითაც უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს ხსენებულ ნაწილის მცხოვრებლებთა მოთხოვნილობა ნახშირზე.

◆ საორგანიზაციო ბიურო ქალთა კავშირისა თხოვს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს დღევანდელ საერთო მუშაობაში მოვიდნენ ორშაბათს 22 მაისს 12

ათზე (მიხაილოვის პრ. „კინო პალასში“, „ჩაშკა ჩაის“ დარბაზში) მოსალაპარაკებლათ.

✦ ბათუმის სასტუმრო რესტორანების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა, ამავე პროფესიის მოსამსახურეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 10 მაისიდან ბათუმში მიხეილის ქუჩაზე № 17 სახლში მოთავსებულია მოსამსახურეთა პრ. კ—ს ბიურო. სხვა ქალაქებიდან თუ სოფლიდან ჩამოსული ამხანაგები, თუ ალაგზე დადგომა უნდათ, ვალდებული არიან, მიმართონ ხსენებულ ბიუროს, რადგანაც კაცის მიღება-გაშვებას ბიურო განაგებს.

✦ **პარიკმახერ-დალაქთა** მომრიგებელი კავშირის დადგენილება. ამ დადგენილების ერთი ნაწილი გუშინ შეცდომით არ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. უნდა იყოს: თუ ეს დადგენილება დაარღვია მომუშავემ—პირველად ერთი კვირის ჯამაგირი ერთმევა და გადაეცემა ჯ. კ. „წითელი ლ.“ გამავრცელებელ კომისიას. თუ განმეორდა ორი კვირის და თუ კიდევ დაარღვია დადგენილება, მაშინ ეკრძალება თფილისში იმუშაოს და კავშირიდან ირიცხება.

✦ 6 უჩასტკის ზაკ. რკ. გზ. მუშების, მასტერების და კანტორის მოსამსახურეებისაგან თფილისის სალდათთა დეპუტატების საბჭომ მიიღო 250 მან. თავისუფლებისთვის მებრძოლ ოჯახების სასარგებლოთ. მათგანვე 250 მან. საბჭოს სასარგებლოთ, მათგანვე 250 მან. ომში დახოცილ სალდათთა ოჯახების სასარგებლოთ და რევოლიუციურ ლიტერატურისთვის ჯარში 400 მანეთი. სულ 1150 მან.

კრებები და მიტინგები.

დღეს 21 მაისს, მოხდება კრება საქონლის სადგურზე მომუშავეთა. სახალხო სახლი, ნაძალადევში 4 საათზე. თემა: „აგრარული საკითხი“.

— 19 მაისს შესდგა მეორე რაიონის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება. გვარჯალაძემ წაიკითხა მოხსენება: „ომი და ინტერნაციონალი“. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის შესახებ. კრება სცნობს ყოველი ღონე იხმაროს რუსეთის რევოლიუცია დაიცვას იმპერიალისტებისაგან.

— დღეს 21 მაისს შესდგება კრება მალიართა ცეხის მუშებისა დღის 3 საათზე სახელოსნო უპრავაში, პროფესიონალური კავშირის მოსაწყობათ.

— დღეს მოხდება ნაძალადევის მოქალაქეთა ყრილობა ნაძალადევის მოედანზე თეატრის ახლო, საღამოს 5 საათზე. თემა: კოალიციური სამინისტრო და თავისუფლების სესხი. (ქართულათ და რუსულათ).

— დღეს შესდგება მოქალაქეთა მიტინგი რკინის გზის გადაღმა მცხოვრებთა. ლაგერის ქუჩა, 2 საათზე საუბნო კომიტეტის არჩევნები.

— დღეს მოხდება მოქალაქეთა მიტინგი მეორე კომერციულ სასწავლებელში, საღამოს 5 საათზე ახალ არსენალის ქუჩაზე. საუბნო კომიტეტის არჩევნები.

— კვირას 21 მაისს დილის 9 საათზე დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება ავლაბრის თეატრში სახლი მამამთავრიშვილისა მე-6 და 7 უბნის კომიტეტის ასარჩევად.

— მეექვსე გიმნაზიის შენობაში (უდელნაია ქ. № 3) ამ დღეებში დაიწყება სისტემატიურათ ლექციების კითხვა: ს. დ. პროგრამა და ტაქტიკა. იქნება ორი აუდიტორია, ქართული და რუსული. პირველი ლექცია 24 მაისს შესდგება. რუსულათ წაიკითხავს ლ. ასათიანი: „საზოგადოებრივი განვითარება და სოციალიზმი“ ქართულათ თ. კიკვაძე. ამავე შენობაში ეწყობა მე 4—1 რაიონს ს.-დ. კლუბი. მოეწყობა სამკითხველო, საჩაიე და სხვა.

პროვინციის ქრონიკა.

ბათუმი. კვირას 14 მაისს ბათუმის სოც.-დემ. კომიტეტმა თავის სხდომაზე სხვათა შორის დაადგინა: არ მიიღოს მონაწილეობა ვალერიან გუნიას იუბილეიში, რომელიც ბათუმში უნდა გამართონ ამ ახლო მომავალში, რადგან ვალერიან გუნია არავითარ საშვალებას არ ერიდებოდა სოც.-დემ. წინააღმდეგ ბრძოლაში.

ს. შემოქმედი (გურია). კვირას 14 მაისს შესდგა შემოქმედის რაიონის რ. ს.-დ. წევრთა დამფუძნებელი კრება. კრებას ხსნის ოზურგეთიდან გამოგზავნილი ად. კომ. მიერ ციმბირიდან ახლათ დაბრუნებული გურიაში კარგათ ცნობილი გიორგი შილაკაძე; შემდეგ კრება ერთხმათ ირჩევს თავმჯდომარეთ გ. შილაკაძეს. მდივნათ დ. გუგუნავას. ასარჩევი იყო კოლექტივის წევრები და სამაზრო ორგანიზაციის კომიტეტის წევრები. კოლექტივში არჩეულ იქნა ისევ ძველი კოლექტივის წევრები, ხოლო სამაზრო კომიტეტის წევრათ არჩეულ იქნა 3 კაცი. კოლექტივის წევრები არჩეულ იქნა 20 წევრზე 1 კაცი, ხოლო სამაზრო კომიტეტის წევრათ კი 100 კაცზე ერთი.

დ. ლანჩხუთი. (გურია). ოზურგეთის მაზრის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციას ლანჩხუთის რაიონში სახელდობრ: ს. ჩიბათში, ჯუნჯუათში, ლანჩხუთში, შუხუთში, ნიგოითში, ჰყონაგორაში, ჯაპანაში, ნოღაში და სხვ. აქვს დამზადებული დიდ ძალი ბოსტნეულის ნერგები, საიდგანაც მსურველთ შეუძლიათ წაიღონ ნერგები.

დ. ანაკლია. როგორც ამ დაბის აგრეთვე მახლობელი სოფლის მიწის მუშები ძალიან დინჯათ და გულ მოდგინეთ განაგრძობენ თავიანთ საქმეს. მოწინავე პირებს თანაგრძნობით ეპყრობიან. ძალიან შემცირდა ყოველივე ძალმომრეობა, ქურდობა და ყაჩაღობა, რასაც წინათ დიდი გასავალი ქონდა. აქეთ მხოლოდ სოც. დემ. პარტია მუშაობს.

თიანეთი. გვატყობინებენ, რომ ერთვეზე მეტია, რაც ძლიერ ცუდი ამინდებია. გამუდმებით წვიმა და სეტყვა, მთებში თოვლი მოდის, ბარში ნათესი წახდა, ყანები განადგურებულია, ვენახებიც დააზიანა. გზები მდინარეებმა ბევრ ადგილას დაანგრია. თიანეთ-თელავს შორის ფოსტის გადატან-გადმოტანა შეფერხებულია. მაზრაში გადამდები სენი ყვავილი და სახადია მოდებულა.

სოფ. გურამიანთ კარი (დუშეთის მაზრა). 10 მაისს აქ მოხდა შემდეგი არა-სასიამოვნო ამბავი: რამდენიმე დეზერტარს მოუყრია თავი და შუაღამისას მისცვივნიან ადგილობრივ მემამულე სტაროსელსკის მოურავს, გაუღვიძებიათ და იარაღი მოუთხოვნიათ. მოურავს იმ წუთშივე ოთხი ბერდენკა გადაუცია დეზერტირებისათვის. მეორე დღეს დეზერტირებს ხსენებულ მემამულის ყველა მოჯამაგირეები გამოურეკნიათ, ორისთვის უცემნიათ. ერთი დაუტუსაღებიათ და სხვები გაუშვიათ. შემდეგ მივარდნიან სოფლის არჩეულ პირებს და ძალით გადაუყენებიათ. დაუჭერიათ აგრეთვე ყოფილი ნაცვალი ჭრელაშვილი და ძალზე უცემნიათ. 15 მაისს ყველა დეზერტირები გამოცხადდნენ დუშეთის მაზრის უფროსთან და ამით გამოისყიდეს თავიანთი არა-საკადრისი საქციელი.

სად. სუმბათოვო. სოფელ ახალ დაბის კოოპერატივში ხუთასი წევრია. აქ მუდმივ იშოვება თეთრი პური, გამოულეველათ სიმინდიც და სხვა საჭირო ნივთები. დღეს აქ მოიტანეს ბოჭკებით ღვინო, ჩააწყვეს სარდაფში და ყველა გამვლელ გამომვლელი ითვრება. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

რაჭა. ზვარეთის და სევის საზოგადოებაში ამ ჟამათ მცხოვრებთა რიცხვი 1300 კომლამდეა, ერთ უპირველეს საჭიროებათ შეიძლება ჩვენთვის ჩაითვალოს მდინარე რიონზე ხიდის გაკეთება. მართალია ხსენებულ მდინარეზე აქა იქ არსებობს ბორნები, მაგრამ ისინი სრულებით ვერ აკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნილებას, ერთი იმიტომ, რომ ბატონი მებორნეები ხშირათ ისე მოქმედობენ, როგორც მათ მოესურვებათ და არც ბორანზე დადებულ ნიხრს აქცევენ ყურადღებას, მეორეც კიდევ იმიტომ, რომ მდინარე ხშირად მოდიდდება ხოლმე და მოგეხსენებათ თუ რა საფრთხე მოელის ხალხს ამ დროს. ერთი ადამიანის გასვლა ღირს ორი შაური. ცხენიანი კაცი აბაზი. ცარიელი ურმის ხუთი შაური და დატვირთული ურემი ექვსი შაური წლიურათ, რომ საშუალო რიცხვით ვიანგარიშოთ კომლზე უეჭველია თითო თუმანი შეხვდებათ გადასახადი ბორანზე გამსვლელთ და გამომსვლელთ. თუ ჩვენ თავის კეთილ დღეობაზე თვითონ არ ვიფიქრებთ, სხვას რაში ენაღვლება. ამიტომ კარგს ვიზამთ, თუ შევაგროვებთ 10 მანეთს და შევუდგებით საზოგადოების ხიდის კეთებას. იმედია ჩვენი ადგილობრივი ახალი მთავრობა საქმეს ყურადღებას მიაქცევს.

პ. ბ. აქსელროდი „ომისა და ზავის“ შესახებ.

პ. ბ. აქსელროდი ერთი დამაარსებელთაგანია სოც.-დემოკრატიულ პარტიისა რუსეთში. იგი ერთი მთავარი მეთაურთაგანია მეუმცირესთა ფრაქციის, ხელმძღვანელი მისი ტაქტიკის. ამ მსოფლიო ომის დროს იგი ერთიანათ ინტერნაციონალურ პოზიციაზე იდგა და ციმმერვალდის კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდა.

დღეს, როცა ციმმერვალდის კონფერენციის სახელით ბევრგან ამხედრდენ მუშათა და სალდათთა საბჭოების პოლიტიკის წინააღმდეგ მიმდინარე რევოლიუციაში და მზათ არიან თითქმის სოციალისტების იდეების მოღალატეობაც კი დასწამონ მის ხელმძღვანელთ, ჩვენთვის მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს პ. აქსელროდის აზრი ამ საგანზე.

ქვემოთ მოყვანილი ადგილი, ამოღებულია პ. აქსელროდის კერძო წერილიდან, რომელიც მან თავის ნაცნობ ამხანაგს მოსწერა რევოლიუციის პირველ დღეებშივე შვეიცარიიდან, სადაც ის ცხოვრობდა. ამ წერილში იგი სქემატიურათ აღნიშნავს, თუ რა უნდა აკეთოს მისი აზრით მუშათა საბჭომ. მკითხველი თვით დაინახავს ამ სქემიდან, რომ იგი სავსებით ეთანხმება იმას, რა გააკეთა და რის გაკეთებასაც ახლა ცდილობს მუშათა და სალდათთა საბჭო პეტროგრადში:

„ზავისათვის ბრძოლა მე ასე მაქვს წარმოდგენილი—ამბობს აქსელროდი—1) საბჭო და მუშათა დეპუტატების საბჭოები შემოიკრებენ მუშათა მასას და მასთან ერთათ მოსთხოვენ მთავრობას დაუყონებლივ გამართოს მოლაპარაკება მოკავშირეებთან, რომ შეთანხმდენ და უარი განაცხადონ ადგილების შემოერთებაზე და საერთო ნაბიჯი გადასდგან მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ. ასეთ ენერგიულ ზეგავლენით მთავრობაზე შეუძლებელი გახდება ბრალი დასდონ ინტერნაციონალისტებს, თითქოს მათ უნდოდეთ ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ ტანჯულ-გვემულ საფრანგეთის, ბელგიის და სერბიის დათმობით იყიდონ ეს ზავი.

2) მაგრამ დიპლომატიაზე ზეგავლენა მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენი მოქმედების ზავის ჩამოსაგდებათ. უმთავრესი საგანია ამ მხრით აგიტაცია გავუწიოთ პროლეტარიატს, მოხდეს შეთანხმება საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, თუ რა ზომებს უნდა მივმართოთ ამ მიზნის მისაღწევათ. ამ მხრით ინიციატივა უნდა იკისროს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელიც ამავე დროს ამ საბჭოს ორგანიზატორიც იქნება. შესაფერი მოწოდებით მას უნდა მიემართა ყველა ქვეყნის სოციალისტურ პროლეტარიატისთვის და კერძოთ ავსტრიის, გერმანიის და საფრანგეთის. საჭიროა სკანდინავიაში გაიგზავნოს სპეციალური დელეგაცია, რომ ამ ქვეყნის და ჰოლანდიის წარმომადგენლებთან ერთად მოახდინონ წინასწარი თათბირი. მუშათა დეპუტატების საბჭომ ნეიტრალურ სახელმწიფოების სოციალისტურ პარტიებსაც უნდა მოაგონოს, რომ იმათმა წარმომადგენლებმაც დასდონ პირობა ინტერნაციონალურ კონგრესზე, შეასრულებენ ყველა მუშათა პარტიებ შორის დადებულ პირობას, რომელიც მათ ავალებს უკეთუ ომი მოხდა ერთათ იმოქმედონ საჩქაროთ, ბოლო მოუღონ მას. დამტკიცება არ უნდა, რომ ამგვარი ბრძოლით ზავისთვის, ჩვენ საშუალებას ვუსპობთ მთავრობას გვებრძოლოს ფიზიკურ ან პოლიციურ საშუალებით.

ჩხეიძის გამოსვლას საზღვარ-გარეთის პრესა ისე უყურებს, თითქოს ის ემუქრება ნემცებს „სრულ გამარჯვებამდე“ ომით*), უკეთუ იგინი რევოლიუციას არ მოახდენენ და ვილჰელმს არ ჩამოაგდებს. მე ეს არ მჯერა. ხოლო უკეთუ ასეთი ლოზუნგები წამოაყენეს ჩვენს პარტიაში, ამის წინააღმდეგ ბრძოლა გვმართებს. შესაძლებელია ვსთქვათ, რომ უკეთუ გერმანიის სოციალდემოკრატია არ დაადგება ინტერნაციონალურ გზას ზავის ჩამოსაგდებათ და გერმანიის სოციალდემოკრატიის ლოცვა-კურთხევით გერმანიის ჯარი რუსეთს შეებრძოლება და ახალ ახალ უბედურებას მიაყენებს, **ქვეყნის თავდაცვის საკითხი პირდაპირ** უნდა დაისვას რუსეთის ს. დემოკრატიისთვის, მაგრამ გერმანელ ხალხისადმი ულტიმატუმის დაყენება ვილჰელმის და მოსაგდებათ, ეს იმპერიალისტების ხელის შეწყობა იქნება. გერმანელ მუშებს ჩვენ შეგვიძლია ისეთივე მოთხოვნები წარვუდგინოთ, როგორიც ფრანგ მუშებს, ენერგიული ზომები მიიღონ ზავის ჩამოსაგდებათ. თუნდაც ამის წინააღმდეგი იყვენ ძველი ცენტრები, იგინი მათ წინააღმდეგ უნდა წავიდენ ახლად არჩეულების წინამძღოლობით—ამ გზით როგორც გერმანიაში ისე საფრანგეთში თავის-თავათ იფეთქებს რევოლიუცია.

საზღვარ გარეთ.

ინგლისის მუშების მისალმება რუსეთის ხალხს. ინგლისის მუშათა ნაციონალურ ორგანიზაციის კავშირმა, რომელშიაც 220 000 მუშა შედის, თავის მორიგ კრებაზე ლონდონში დაადგინა მიესალმოს რუსეთის ხალხს პოლიტიკურ და მოქალაქობრივ თავისუფლების მოპოების გამო. მუშებს იმედი აქვთ, რომ თავისუფალ რუსეთის ეკონომიური ზრდა განვითარება სწრაფათ წინ წავა.

— **პურის მაგიერ ქიშმიში.** ათინაში ამ ბოლო დროს პური ძალიან შემოაკლდათ. 6 მაისს პურის მაგიერ ფურნეებიდან და საკანდიტეროებიდან თითო კაცს 40 გრამ ქიშმიშს აძლევდენ.

— **ვოლფის სააგენტომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს მოწოდება დაამახინჯა.** ვოლფის სააგენტომ გერმანიის გაზეთებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება მთელი ქვეყნის სოციალისტებისადმი ძალიან შემოკლებით გადასცა. და სრულიათ დაამახინჯა ის ადგილი, სადაც ნათქვამია მთავრობასთან ბრძოლის შესახებ. ვოლფის სააგენტომ ეს ადგილი ასე გადააკეთა: „მოწოდებაში ნათქვამია, რომ ზავის საქმის მოწესრიგებას უნდა შეეცადოს საერთაშორისო პროლეტარიატი“.

ის ადგილი, რომელიც ავსტრო გერმანელებისადმი პირდაპირი მიმართვაა, ვოლფის სააგენტომ სულ გამოუშვა.

— **უნგრეთის სოციალისტები.** სტოკჰოლმში მოსულმა უნგრელმა სოციალ-დემოკრატმა შემდეგი განუცხადა გაზეთის თანამშრომელს: „ჩვენი პარტია მტკიცეთ შეერთებულია და ომმა ვერავითარი გათიშვა ვერ გამოიწვია. **ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებათ.** ჩვენ ერთობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ჩვენ არა გვყავს წარმომადგენელი პარლამენტში, საარჩევნო რეფორმა ომის დასაწყისში შემოიღეს. ამ დრომდე მცხოვრებთა ხუთ პროცენტს ქონდა საარჩევნო უფლება. არც დღეს არის საარჩევნო უფლების საქმე ძალიან კარგათ. დღესაც მუშათა **უმრავლესობას არა აქვს არჩევნების უფლება.** ამან გამოიწვია ყველაზე უფრო სასტიკი კლასობრივი ომი უნგრეთში, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოში. ჩვენ არა სასურველ მდგომარეობას კიდევ ერთი მიზეზი აქვს: **ჩვენ არასოდეს არ მივსდევდით ვიწრო ნაციონალიზმს.** უცხო ქვეყნების ხალხს თავისუფლათ შეეძლოთ ჩვენ ქვეყანაში ცხოვრება და ეს ჩვენი მხრით არავითარ შურს არ იწვევდა. ფრანგული და ნემეცური ენა ისე თავისუფლათ იყო, როგორც უნგრული. სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევის ამბავს მთელი ხალხი აღტაცებით შეხვდა, ბურჟუებიც კი. მე ვფიქრობ ეს კონფერენცია დიდ რამეს მოგვცემს.

— **უელსის აზრი ომზე და ზავზე.** ინგლისის ცნობილმა მწერალ-სოციალისტმა უელსმა შემდეგი აზრი გამოსთქვა ომისა და ზავის შესახებ:

„მე ინგლისელი ვარ და როგორც ასეთი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ისეთი მთავრობა არ არსებობს ქვეყანაზე, რომელსაც შეუძლია ძალა დაატანოს ინგლისს ზავის ჩამოსაგდებათ, უკეთუ შემდეგი არ იქნა განხორციელებული.

1) ბელგიის განთავისუფლება და მისი აღდგენა გერმანელების მიერ.
2) განთავისუფლება გერმანელებისაგან საფრანგეთის იმ ტერიტორიის, რომელიც ეხლა უჭირავთ და 1871 წლის ომის დროს ჩაიგდეს ხელში.
3) იტალიის პროვინციის, ტრენტინოს და ტრიესტოს იტალიასთან შეერთება.
4) პოლონეთის განთავისუფლება, რუსეთის პოლონეთთან ერთათ გალიციისაც.
5) მთელი სერბიის ხალხის განთავისუფლება.
6) რუმინიის დაცლა და აღდგენა.
7) სომხეთის, არაბეთის და პალესტინის ოსმალთა მონობისაგან განთავისუფლება.
8) გერმანიის მიერ იმპერიალისტურ მიზნებზე უარის თქმა.
9) რუსეთისთვის თავისუფალი გზა ხმელთა შუა ზღვისკენ.

ამისათვის ვღვრით სისხლს, როგორც ჩვენ ინგლისელები, ისე ფრანგები, რუსები და იტალიელები. ჩვენ გვინდა დღეიდან ომს ბოლო მოვუღოთ.

რუსეთის ამბები.

შჩეგლოვიტოვის საქმე. ყოფილ იუსტიციის მინისტრ შჩეგლოვიტოვის საქმის გამოძიება თავდება. მისი საქმე ყველა დატუსაღებულ სანოვნიკების საქმეზე ადრე დასრულდება, რადგან ის გამოტყდა თავის დანაშაულობაში.

საგამომძიებლო კომისიამ სხვა სანოვნიკებსაც ჩამოართვა ჩვენება, მაგრამ მათგან ვერავითარ გადაჭრილ პასუხს ვერ ეღირსა. ზოგი მათგანი თავის დანაშაულობას სრულიად უარჰყოფს, ზოგიც თავს იკატუნებს და ამბობს: დამავიწყდა თუ მე ესა და ეს დანაშაული ოდესმე ჩავიდინეო და ან კიდევ იმით იმართლებს თავს, რომ ნიკოლოზ რომანოვმა მიბრძანა და მეც მაშინ ვალდებული ვიყავი შემესრულებია მისი ბრძანებაო.

— **რკინის გზის მილიცია.** ამ უკანასკნელ ხანებში ფრონტიდან გამოქცეული სალდათები დიდ უწესოებას ახდენენ რკინის გზის სადგურებზე. იყო ისეთი მაგალითები, რომ სალდათებმა ძალმომრეობა იხმარეს რკინის გზის მოსამსახურეებზე. დროებითი მთავრობა ამ მდგომარეობამ შეაფიქრიანა. გადასწყვიტეს სასამართლოებს გარდა, დაარსონ აგრეთვე განსაკუთრებული მილიცია რკინის გზებისთვის.

— **მექარხნეთა გადაწყვეტილება.** იმ მექარხნეებმა, რომელთა ქარხნებშიაც საარტილერიო მასალა მზადდება, გენერალ მანიკოვსკის განუცხადეს, რომ მათ განზრახვა აქვთ ხაზინას გადასცენ თავიანთი ქარხნები.

— **სენატორთა შუამდგომლობა.** სენატორებათ ახლად დანიშნულ ცნობილ ვექილებმა და საზოგადო მოღვაწეებმა შუამდგომლობა აღძრეს გენერალ პროკურორის წინაშე, რომ ნება მისცეს მათ სერთუკებით იარონ კრებებზე, რადგან მუნდირების ფულები არა აქვთ მეტისმეტ სიძვირის გამო.

— **ძველი საზიზღარი ამბები.** დღეს ყველასათვის აშკარა ხდება რა საზიზღარ საქმეს სჩადიოდენ თვითმპყრობელობის ყურმოჭრილი მონები. თუმცა ეს წინათაც ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ როცა ეხლა დაწვრილებით ეცნობა ადამიანი მათ მოვალეობას თმა ყალყზე უდგება და არ სჯერა, რომ ის ასეთ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას იტანდა დღემდე. აი მაგალითი: ამ დღეებში მოხდა ყირგიზების ყრილობა, იმ ყირგიზების, რომლებიც ყველაზე მეტათ ჩვეული იყვენ თავისუფლებას. ყრილობაზე გამოაშკარავდა თუ რა სატანჯველს აყენებდენ ხალხს ძველი მთავრობის სატრაპები. ბევრი მათგანი ადგილობრივ საიდუმლო პოლიციის აგენტები იყვენ და თან მოხელეთა ადგილები ეჭირათ. საინტერესოა მოხელე აგაპოვის მოღვაწეობა: მას მიანდვეს ყირგიზების გაწვევა ჯარში სამუშაოთ. აგაპოვმა დამსჯელ რაზმის სახელი მიითვისა და ყირგიზებს ჯარიმა დაადვა. ერთ სოფელში მოითხოვა კაზაკების რაზმისთვის, რომელიც თან ახლდა 625 მ. 25 ურმისთვის, 1000 მ. 500 ფუთი თივისთვის, 125 მ. ჩაისთვის, 200 მან. შაქრისთვის, 900 მ. პურისთვის, 2,250 მან. ხორცისთვის და გარდა ამისა თვითეულ მამასახლისს 1500 მ. ჯარიმა დაადვა. ასე რომ ამ ერთ სოფელში დიდძალი ფული მოაგროვა. ირგაზის მაზრაში აგაპოვმა დაატუსაღა 98 ყირგიზი, რის გამოც ყაზახებთან შეტაკება მოუხდათ და ამ შეტაკების დროს ყირგიზი მოკლეს. დანარჩენები დაატუსაღა აგაპოვმა, გარეკა კუსტანაიში, ჩაჰყარა იქ სატუსაღოში და აული გაძარცვა. 7 მარტს კიდევ გაიძახოდა აგაპოვი მეფე ისევ დაბრუნდება და ისევ ძველი დრო დადგებაო.

თვითმპყრობელობის მეორე გმირმა კუსტანაის ბოქაულმა ერთ სოფელს აუარებელი სანოვაგე მოატანინა. რამდენიც შეეძლოთ სჭამეს ყაზახებმა, შემდეგ რაც დარჩათ ფეხით მოსრისეს, ცხვრის ტყავები დანით დასჭრეს, ყირგიზებს საბნები, ნოხები და სხვა ავეჯეულობა წაართვეს, და აწყვეს ურმებზე და გზას გაუდგნენ. რადგან ცხენები არ ყავდათ ბოქაულმა თვით ყირგიზები გაირეკა წინ და 40 ვერსი მათრახების ცემით არბენინა. ერთ ყირგიზს მოსთხოვა 10 ცხენი, ზოგში ფული მისცა და ზოგიც ისე დაირეკა.

მერმე გმირმა სამხედრო უფროსმა ზაიტანოვმა გასულ წლის ოქტომბერში ბრძანება გამოსცა, რომ ორი საათის განმავლობაში არც ერთი ყირგიზი არ დარჩენილიყო ქალაქში. ორი დღის შემდეგ სამხედრო წესები გამოაცხადა ქალაქში. და დაიწყო ჩხრეკა და დატუსაღება. როცა ამის შემდეგ გაბოროტებული ყირგიზები ქალაქს დაეცენ, მან ბრძანება გასცა ქალაქს მცხოვრები ყველა ყირგიზები დაეჭირათ: ქალები, მოხუცებულები, მასწავლებლები და მოსწავლეებიც კი. დაჭერილების ქონება ყაზახებს გადასცა. დაჭერილები საშინელ სატანჯველში ჩავარდენ, ვედრო წყალს 7 მ.ნ. ყიდულობდენ, შიმშილით გული უწუხდებოდათ. ბოქაულის ბრძანებით ყაზახები აუტანელ შეურაცხყოფას აყენებდენ, ქალებზე ძალას ხმარობდენ, სცემდენ, სტანჯავდენ.

ყრილობამ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს ეს გმირები და სასტიკათ დასაჯოს.

ქ. თფილისის მოქალაქეთ.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს და ქალაქ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით მიღებული რა ქალაქის მილიციის უფროსობა, ჩემს წმინდა მოვალეობათ ვსთვლი მოგმართოთ თქვენ შემდეგი მოწოდებით:

მოქალაქენო! არც ერთ მთავრობას არ შეუძლია ნაყოფიერი სამსახური გაუწიოს ხალხს, თუ მას თვით ხალხი არ დაეხმარა, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, რითაც კი შეგიძლიათ დამეხმარეთ, რომ შეერთებული ძალით შევძლოთ რევოლიუციის გამაგრება და წესიერების დამყარება.

არც ერთ მთავრობას არ შეუძლია გაუწიოს ხალხს სამსახური, თუ ის დარწმუნებული არ იქნება, რომ ყველა მის კანონიერ განკარგულებას სისრულეში მოიყვანენ არა შიშით, არამედ ზნეობრივ ვალდებულებით, ამიტომ გთხოვთ არა თუ დაემორჩილოთ ჩემს კანონიერ განკარგულებას, არამედ ეცადოთ დახმარება გაუწიოთ ჩემს ხელ ქვეითებს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანის დროს.

მოქალაქენო! მე მიზნათ დავისახე ხალხის სამსახური, მე უნდა დავიცვა ხალხის ინტერესები. მთელ ჩემ ძალ-ღონეს, მთელ ჩემ ცოდნა-გამოცდილებას, მთელ საშუალებას რაც კი ჩემ ხელთ იქნება იმას მოვახმარ, რომ არვის არ შეეძლოს უწესოება მოახდინოს ქალაქში. ყველა ვინც წესიერებას დაარღვევს უნდა დაისაჯოს. უდანაშაულოთ არავინ არ უნდა დაისაჯოს, მაგრამ არც არავინ დარჩება დაუსჯელი ვინც რაიმე ბოროტმოქმედებას ჩაიდენს. დეე ეს ახსოვდეს ყველას, ვინც ისარგებლებს ამ გარდამავალი მომენტით და თავის ჯიბის ან ადვირწახსნილ გარყვნილ მადის დაკმაყოფილებას შეეცდება. ასეთ პირებს მე გასაქანს არ მივსცემ და ყოველივე ზომებს ვიხმარ მათ დასასჯელათ.

კიდევ უფრო სასტიკათ მოვეპყრობი ყველა მათ, რომლებიც ცალი თვალით კიდევ ძველი წეს-წყობილებისკენ იყურებიან, იმედი აქვთ მისი აღდგენის და ამ განზრახვით რაიმე კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს ჩაიდენენ.

მოქალაქენო! მე მომანდვეს ქალაქის დაცვა და თქვენის შემწეობით ვეცდები ამ მოვალეობის ასრულებას.

ქალაქის მილიციის უფროსის თანამდ. აღმასრულ. ნაფიცი ვექილი კაჩუხოვი.

ქ. თფილისის ქარხნის პატრონებს და მუშებს.

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს და ქარხნების მმართველების გამგეობის შეთანხმებით შესდგა ქ. თფილისში ცენტრალური მომრიგებელი კამერა. კამერაში შედიან ათ-ათი წარმომადგენელნი მუშების და მექარხნეების. ყველა სადავო საკითხი, ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილი და საერთოთ ყოველგვარი უთანხმოებანი კაპიტალის და შრომას შორის ამტყდარი—თუ ვერ გადიჭრა ადგილობრივ შეთანხმებით გადაეცემა გასარჩევათ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას, რომლის დადგენილება სავალდებულოა, როგორც პატრონებისათვის, ისე მომუშავეებისთვისაც. ამ გზით ჩვენ ვფიქრობთ შევინარჩუნოთ ეკონომიური ცხოვრების მსვლელობა თფილისში და ხელი შევუწყოთ ზოგიერთი უთანხმოების გამორკვევას.

სამწუხაროთ ქარხნის პატრონთა ზოგიერთი ჯგუფები და აგრეთვე მუშებისა ანგარიშს არ უწევენ ცენტრალურ მომრიგებელ კამერის დადგენილებას და უთანხმოების დროს უარს ამბობენ მიმართონ მას.

ამის გამო ბევრ ქარხნებში ხშირად მუშაობა წყდება, რაც არღვევს ეკონომიურ ცხოვრების ზომიერ მსვლელობას. მოვლენა უდარესად არა სასიამოვნოა ეხლანდელ მძიმე დროში და ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს ყველა მუშებს და მეწარმოებელთ ყოველგვარ უთანხმოების მოსასპობათ მიმართონ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას და დაემორჩილონ მის დადგენილებას.

ქ. თფილისის მუშათა დეპ. საბჭო.

---

*) ბურჟუაზიული პრესა ყველგან ერთი თვისებისაა: სოციალდემოკრატებზე ჭორი არ სწეროს არ შეუძლია. რედ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ახმეტა. (თიანეთის მაზრა).

15 მაისს მოხდა ახმეტის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 300-დე კაცი და ქალი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვასო გილაძე, მდივნად ალექსი მოსემდლიშვილი. კრება აღფრთოვანებით შეხვდა სოფლად მ. პარ. დაარსებას. გამოითქვა სურვილი მოეწყოს კურსები, ლექციები, დაარსდეს კლუბი და სხვა. კრებამ დაადგინა მისალმების დეპეშა გაუგზავნოს ამიერ კავკასიის ს. დ. ორგანიზაციების საოლქო კომიტეტს. დასასრულ კრებამ აირჩია სარაიონო კოლექტივი, რომელშიც შედიან შემდეგი პირები: ალ. ოქროცვარიძე, ალ გაგნაშვილი, ვასო გილაძე, მარ. ულუხანოვი, ფირ. შაშიაშვილი, ს. ფილაშვილი, კოს. ფრუიძე, ვანო ქაბაშვილი, დ. ხითარაშვილი, ვ. თეგერაშვილი, ფ. წიკმელაშვილი, ნ. კორაშვილი, რ. ჯიოშვილი; კოლექტივის პრეზიდიუმში შედიან ვასო გილაძე, კ. ფრუიძე და მარ. ულიხანოვი.

კოლექტივის დადგენილებით პარტიულ ორგანიზაციაში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ პირებთან: დიმიტრი ქოზაშვილთან, ვასო გილაძესთან და ვანო ქაბაშვილთან.

ვ. გილაძე.

დ. ლანჩხუთი.

14 მაისს მოხდა ლანჩხ. ს. დ. პ. წევრთა საზოგადო კრება. კრება ირჩევს თავმჯდომარედ ამხ. ნოე ცინცაძეს, ამხანაგებათ ლუკა კვიტაიშვილს და ეს. მეგრელიძეს; მდივნებათ: ამხ. ივ. კალანდარიშვილს და პრაპ. კოტე იმნაძეს დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ამხ. პ. ებრალიძის, პ. ცინცაძის, ზ. მინდარიშვილის და ივან. იმნაიშვილს შესახებ; 2) არჩევნები კოლექტივის, გურიის კომიტეტის წევრის და წარმომადგენლების კონფერენციაზე დასასწრებლად; 3) მოხსენება ადგილობრივ ს. დ. პ. ორგანიზაციის თავმჯდომარის ამხ. ათანასე ებრალიძის. საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა გამოწვეული იყო ბნელი ძალების მიერ ხალხში გავრცელებული ჭორებით: თითქოს დასახელებული ამხანაგები ხელს უშლიდეს საზოგადო აფთიაქის გახსნას. ეს ვაჟბატონები არ დაჯერდენ ამხ. დეპ. ჩხენკელის „ერთობის“ ფურცლებზე განცხადებას, რომ მათ ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

კომისიის მოხსენების შემდეგ, კრებამ აღიარა, რომ ხსენებულ ამხანაგებს არავითარი ბრალი არ მიუძღვით ამ საქმეშიო. შემდეგ დაადგინეს შამშე ებრალიძე კი, რომელიც ცუდ ხმებს ავრცელებს მოწინავე ამხანაგებზე, და ამით არევ დარევა შეაქვს პარტიაში—გარიცხულ იქნას პარტიიდანო. ვალერიან ჭყონიას შესახებ (მას ბრალი ედება შამშე ებრალიძის და მისი ამალის ხელმძღვანელობაში) კრებამ დაადგინა ეს საქმე გაირჩეს კოლექტივში და შემდეგ მოხსენდეს საზოგადო კრებას. ყოველივე ამის შემდეგ კრებამ შეუდგა არჩევნებს. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით. არჩეულ იქნენ კოლექტივში: ნიკ ფირცხალაშვილი, ტერენტი ორაგველიძე, პრ. ათ. ებრალიძე, საშა დარახველიძე, პრაპ. კოტე იმნაძე, ელენტი, ნოე გვარჯალაძე, კატო ფხაკაძე, ნ ტოფურუშაძე; კანდიდატებად სოლომონ იმნაძე, ნინა დიდიძე, პ. ბარამიძე, პ. ცინცაძე, პ. ებრალიძე. კომიტეტის წევრათ არჩეულ იქმნა ამხ. ლ. კვიტაიშვილი.

კონფერენციაზე დასასწრებლად წარმომადგენლების არჩევნები გადიდო შემდეგისათვის.

ხირიუხი.

მუშათა ცხოვრება.

რკინის გზის მუშა მოსამსახურეები ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების სიეზდი, რომელიც გაიხსნა 20 აპრილს—დასრულდა 23 აპრილს. სიეზდმა აირჩია 25 კაცისაგან შემდგარი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ევალება მოაწყოს ორგანიზაციები ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მუშა-მოსამსახურეთა შორის და უხელმძღვანელოს მათ, ხელი შეუწყოს აგრეთვე რევოლიუციის მიერ მოპოვებულ სახალხო უფლებების დაცვას და გამტკიცებას. ამ მიზნის მისაღწევათ რკინის გზაზე მოწყობილ იქნა ადგილობრივი და ცენტრალური კომიტეტები. კომიტეტის მოვალეობაა—მოაგვაროს ყოველნაირი უწესრიგოება რკინის გზაზე და ამით ხელი შეუწყოს მიმოსვლის მოწესრიგებას, მუშა-მოსამსახურეების შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამორკვევა და სხვა.

1—2 მაისს ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა კრება. აირჩიეს პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ი. ზურაბოვი. აგრეთვე აირჩიეს ორი წევრი აღმასრულებელ ბიუროში—ორიც კომიტეტში. ხუთი სხვადასხვა კომისია. სასურსათო, საგამომძიებლო, სარედაქციო, ლექციების მომწყობი, შრომის და ტეხნიკური. ცენტ. კომიტეტმა საჭიროთ სცნო დამოკიდებულება იქონიოს მუშათა საბჭოსთან და აირჩიეს წარმომადგენლათ პ. წულაია.

№

ტფილისი. აქ არსებობს ათი თუთხმეტი სამღებრო-სამრეცხველოს ქარხანა, სახეში მაქვს მხოლოდ დიდი ქარხნები. თითო ქარხანაში მუშაობს არა ნაკლებ 15 კაცისა. მუშების რიცხვს მეტ ნაწილს შეადგენენ ქალები, არიან კაცებიც. ყველას მუტანელ პირობებში ვხვდება მუშაობა დილის ექვსი საათიდან, ღამის 11 საათამდის ვმუშაობთ და ხანდახან კიდევ მეტს. ყოფილა შემთხვევა, ტეატრიდან გამოსული ხალხი შეჩერებულა ფანჯრებთან და ჩვენს მუშაობისთვის გაკვირვებით დაუწყია ცქერა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხაზეინები გვამუშავებდენ ნაჭრობით. შრომა ამ ქარხნებში წარმოებს განსაკუთრებით ზაფხულში, როცა მუტანელი ტანჯვაა. მოგება უკეთესი არ შეიძლება ესენი რომ იგებენ, მაგრამ მუშებს თვალებს უბრმავებენ—ტირიან, ვითომ არაფერი რჩებათ. მუშა ქალს მთელი დღის მუშაობის გასამრჯელო ეძლევა 1 მ. 70 კ. ამ საზღაპრო ძვირობის დროს, რას ნიშნავს 1 მ. 70 კ. რაკი ეხლა საშვალება მოგვეცა ხმა ამოვიღოთ, ჩვენც შევიკრიბეთ, მოვიყვანეთ პროპაგანდისტი და მოთხოვნილებანი შევიმუშავეთ. მოთხოვნილებაში არის 8 ს. სამუშაო დღე, ჯამაგირის მომატება, ნაჭრობის მოსპობა, აიკრძალოს მეტი მუშაობა და აგრეთვე ღამით მუშაობა და სხვა. სულ 20-მდე მუხლია. ვნახოთ რა პასუხს მოგვცემენ ხაზეინები.

მუშა პაპუ ფრუიძე.

კახეთის რკინის გზის დეპო. ზემოხსენებულ დეპოში თითქმის ყველა ქართველები მუშაობენ. თავისუფლებას ყველანი სიხარულით შეხვდნენ და მოაწყვეს ორგანიზაციები. ძველი რეჟიმის დროს ამ სახელოსნოში დიდი ალაგი ჰქონდა ქრთამობას და ჯაშუშობას. ქრთამობას ეხლა ვერ ახერხებენ, ხოლო ენის დამოკლებას აღარ ფიქრობენ. ამ საქმეში მუშები არასოდეს მონაწილეობას არ ღებულობდენ. ესენი უმეტესათ ზემო აღნიშნულ დეპოს კანტორაში მომუშავეებია—აქ არის ერთი შ. რომელსაც სურს ფეხქვეშ გათელოს მუშების კანონიერი უფლება. თუმცა მეხი დასცა ბ. შ. რევოლიუციამ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის. და ფარულად რეაქციას ზურგს უმაგრებს.

ხ. საქარელი.

რევოლიუცია პროვინციაში.

გუდაუთი. აქ რევოლიუციის პირველ დღეებში სასურსათო კომიტეტი დაარსდა. ეს კომიტეტი ვერ გამოდგა მომქმედი. ეს იმიტომ, რომ არჩევნები მოახდინეს იმათ, ვინც წინათ ბატონობდენ და თავისი კანდიდატები გაიყვანეს. მაშინ ფართო მასამ არ იცოდა რევოლიუციის გამარჯვება და ვერც მიიღო შესაფერისი მონაწილეობა არჩევნებში. დაბა სურსათის კრიზისს განიცდიდა და განიცდის. დიდი ენერგიული შრომაა საჭირო, კომიტეტის მხრივ, რომ შიმშილით გამწარებულ ბრბოების გამოსვლების მოწმე არ გავხდეთ. მაგრამ ეს კომიტეტები თუ რისი გამკეთებელია ვიცით. სხვათა შორის კომიტეტის მცირე ნაწილმა გადაწყვიტა მეთევზეების არტელის შედგენა. პირველათ ეს შეუძლებლათ სცნო უმრავლესობამ, შემდეგ მუშების ზედგავლენით გადაწყდა ასეთი არტელის შედგენა, მაგრამ გადაწყვეტილება მხოლოდ გადაწყვეტილებათ დარჩა. მუშათა და სალდათთა კრება გაეცნო რა საქმის შინაარს აირჩია მეთევზეები, რომელსაც დაევალა დაეთვალიერებია ბადეები. ეს ბადეები დარჩა დაბას გადასახლებულ ოსმალოების ქონების კონფისკაციის დროს. ეს ბადეები სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეს ებარა. ხალხის მიერ არჩეული კომისია წარუდგა კომიტეტის თავმჯდომარეს სტრუკოვს ამის შესახებ. სტრუკოვმა არც კი მიიღო ეს კომისია. ამას შესახებ პასუხი მოსთხოვა მუშების კომისიამ, მაგრამ პასუხი კი არ მიგვიღია. ავირჩიეთ კომისარი ბაგრატ ნადარეიშვილი. ასეთი კაცი ბ-ნ სტრუკოვისთვის ცოტა არ იყოს სახიფათო დარჩა და იმაზე იზრუნა თუ იდეიური მოწინააღმდეგე კომისარი როგორ ჩამოიშოროს, მაგრამ ის ამას ვერ მოესწრება.

ხიესი.

ბანძა (სამეგრელო). 14 მაისს, დილის 9 საათზე მოხდა დეზერტირთა მიტინგი, რომელსაც სამასამდე დეზერტირი დაესწრო. ამ მიტინგის დროს ბაზარში ყველა სავაჭროები დაკეტილი იყო თანახმად ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა. ილაპარაკა ჯარისკაცმა ბაგრატ წულაიამ. შემდეგ დეზერტირები გამობრუნდენ უკან და სამი დროშით, მარსელიოზის გუგუნით ბაზრის თავზე, სადაც სენაკ-ნოქალაქევის გზაა, მოიყარეს თავი, აქ ილაპარაკა ებრელმა დავით აქიაშვილმა. დეზერტირებმა ერთხმათ გამოსთქვეს სურვილი წასულიყვენ სენაკის სამაზრო საკრებულოში და კიდევაც დღის 12 საათზე გაუდგენ გზას სენაკისაკენ.

მ. კაჭარავა.

ჩხიროულის საზოგადოება. (შორაპნის მაზრა) მაისის 7 ჩხიროულის საზოგადოებაში მოხდა საზოგადოების კრება სასოფლო კომიტეტების ასარჩევათ. კრებას მრავალი მამაკაცი და დედაკაცი დაესწრო. კრება გახსნა ვ. კ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სიმონ ს. ბიწაძე. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით ოთხ ფორმულიანი სისტემით. დიდის ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ ს. დ. კანდიდატები: ისმაილ. ერ. ჩხეიძე, ილიკო გ. ნოზაძე, დარისპან გ. ცეცქირიძე, ლადიკო ნ. კაპანაძე, ტერენტი მ. კაპანაძე, ალექსანდრე გ. ჩაჩანიძე, ისონ დ. ცუცქირაძე, სიმონ გ. ბიწაძე, ილარიონ მ. მუმლაძე. კანდიდატებათ: დათა კაციას ძე ციცვიძე, ვასილი უფლისას ძე ხოჯანაშვილი, ნიკოლოზ ბ. ჩიჩჩალაძე. არჩევნების გათავების შემდეგ კომიტეტებმა მოახდინეს სხდომა, ვ. კ. აუხსნა მათი ვალდებულების მნიშვნელობა და სამუშავო გეგმა. სასოფლო კომიტეტებმა აირჩიეს კომისარათ ნიკალა ჩიჩჩალაძე და მდივნათ ივანე ჩხეიძე.

კრების ხელმძღვანელი **ვასილ კაპანაძე.**

პროვინციის ცხოვრება.

ხოფ. ფოცხო (სამეგრელო). შესდგა კრება სოფ. ფოცხოში. დაესწრო ექვსი სოფლის მცხოვრებლები. კრებას მიესალმა გაზრდავა ორატორმა გაეცნო ხალხს სოც.-დემ. პროგრამა. ხალხმა სიამოვნებით მოუსმინა. შემდეგ ამოირჩიეს გლეხთა საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტი. აქ დაარსდა სამკითხველო-ბიბლიოთეკა. უნდა გამოვიწეროთ გაზეთები: „ერთობა“, „ალიონი“, „კავკასკი რაბოჩი“ და „ეშმაკის მათრახი“ და წიგნები.

მათანური.

— —

ს. ყემულთი (გორის მაზრა). ს. ყემულთში 26 მარტს დაარსდა აღმასრულებელი კომიტეტი. ძველმა მოხელეებმა გაიტაცეს, რაც კი გვქონდა კანცელარიაში. სკამიც აღარ დაუტოვებიათ. ყველაფერი საყიდელი გაგვიხდა. კომიტეტის წევრებმა ყურადღება მიაქციეს გზებს და ხიდებს და აკეთებინებენ. ფიქრობენ სკოლების გახსნას. ჩვენმა მილიციონერებმა ამ ბოლო დროს შეგვაწუხეს. გვეუბნებიან: სუყველანი უნდა წამოხვიდეთ ჯარშიო. გორამდის სამი დღის სავალია, იქიდანაც სამი დღის სავალი. მთელი ერთი კვირა უნდა დავკარგოთ. მერე ამოდენა მანძილი ფეხით გვიხდება ხოლმე სიარული ცხენის ნაკლეობის გამო. ეტლის დაქირავება სიძვირის გამო შეუძლებელია ჩვენ გლეხკაცისთვის. ჩვენ გვსურს „პრისუტსტვიამ“ სია გამოგზავნოს, ვინც წასასვლელია სალდათათ. თორემ ჩვენ არ ვიცით ვინ უნდა წავიდეს. ჩვენ ნახევარზე მეტს ბილეთები არა გვაქვთ. ჩვენ არ ვემალებით ახალ მთავრობას, მხოლოდ ვიცოდეთ ვინ არის გამოსაცხადებელი.

ხიონ.

— —

დ. ჩოხატაური. 17 მაისს აქ ჩამოვიდა ამხან. ბენია სხიკვიშვილი. სოფელ ფარცხმის ძველ სკოლასთან (იქ სადაც ბენიას უსწავლია პირველათ ანბანი) ხალხი შეხვდა დროშებით, სიმღერით. მას მიესალმა გურიის კომიტეტის წევრი გრიგოლ კოპლატაძე. შემდეგ მიმართა ხალხს თვით ბენიამ და მადლობა გადაუხადა შეხვედრისთვის. ამის შემდეგ ხალხთან ერთათ ფეხით ჩავიდა ჩოხატაურამდე, იქაც ხალხი შეხვდა. აქ სიტყვა სთქვა სილ. თავართქილაძემ და მოუწოდა ხალხს მიბაძონ ამხ. ბენიას მაგალითს და თავდადებით ემსახურონ რევოლიუციას. ამის შემდეგ ბენია გამოეთხოვა ხალხს და წავიდა სოფ. ციხეს თავის დედასთან და ნათესავებთან.

ამხანაგი.

გაზეთის სასარგებლოთ.

გიგზავნით 16 მ. 80 კ. გთხოვთ ამ ფულით გაზეთი „ერთობა“ გამოუწეროთ სამ სამი თვით, ორი 6-სე როტას და ორი 13-ტე როტას ქართველთა მსროლელ პოლკისა, ტრაღიკულათ გარდაცვალებულ პრაპ. ივ. ა. დუმბაძის ხსოვნის აღსანიშნავათ.

შემოქმ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. მონდ.
კოლია ჩხატარაიშვილი.

—

დიმიტრი პაიჭაძისაგან 10 მან.

—

გაახლებთ მცირედ წვლილს 8 მანეთს გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ შეგროვილს სად. პეტროვსკის ქართველების ერთ ნაწილში.

ამხ მონდობილობით **ა. მახარაძე.**

—

გიგზავნით 10 მან. ახლად გარდაცვლილ მამაჩემის როსტომ შენგელიას ხსოვნის აღსანიშნავათ, 5 მან. გადაეცეს პეტროგრადის რევოლიუციის გმირთა სასარგებლოთ, 5 მან. გაზეთი გაეწეროს ჯარის კაცებს.

ხოფრომ და ილარიონ შენგელია.

—

ფოთი. ჩვენ სადგურ ფოთის მოსამსახურენი გაახლებთ ჩვენ წვლილს მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის. სულ 14 მ. 60 კ.

ამხ. მონდობილობით **ივლიანე გადილია.**

—

სოხუმი. გაზეთის ფონდისთვის გიგზავნით 5 მანეთს, 10 მანეთსაც საოლქო კომიტეტისათვის. სულ 15 მანეთს.

ამხ. მონდობილობით **გ. რაფავა.**

—

გიგზავნით გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის 20 მანეთს.

დავით და კონსტანტინე გრიგორის ძე ხტეფანოვები.

—

ქ. ოზურგეთი. ამასთანავე გაახლებთ 23 მან. 75 კ. ამხანაგ მანდილოსანთა შორის შეკრებილს მუშათა გაზეთის „ერთობის“ სასარგებლოთ. მიიღეთ წრფელი სალამი: დღეგრძელობა მუშათა ინტერესების დამცველს. კვირიკეთის ამხ. მანდილოსანთა მონდობილობით **ლელე ლომინაძისა და პატკუ კალანდარიშვილისა.**

—

ხარაკამიში. გიგზავნი მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთის „ერთობის“ და „პაიკარის“ სასარგებლოთ ამხანაგთა შორის შეგროვილს 28 მანეთს.

ამხ. მონდობილობით **ე. გვარჯალაძე.**

—

სად. ევლახის მოსამსახურეებში შეგროვილი მაქსიმე დონდუას მიერ მივიღეთ „ერთობის“-თვის 22 მან. და „პაიკარისათვის“ 10 მან. სულ 32 მან.

—

ილია და აბიბო მეგრელიშვილებისაგან 50 მ. აქედან „ერთობას“ 20 მან., „პაიკარს“ 10 მ., „ალიონს“ 10 მან., „სხვას“ 5 მან., „მათრახს“ 5 მან

—

გაგრა. გიგზავნი 50 მანეთს. აქედან 25 მ. პოლიტიკურთა სასარგებლოთ, 15 მ. თფ. მუშათა საბჭოს და 10 მან. „ერთობას“.

ლავრენტი ბენდუკიძე.

—

22 აპრილის აღსანიშნავათ გურიის ტყის მცველმა ამხანაგებმა შევაგროვეთ 60 მან. გთხოვთ ასე გაანაწილოთ: 20 მ. „ერთობას“, 20 „სოც.-დემოკრატს“, 20 მ. „პაიკარს“.

სიმონ სურგულაძე და ზაალ თაყაიშვილი.

—

გაახლებთ 25 მანეთს, ჩვენი საყვარელი დეპუტატ კარლო ჩხეიძის შვილის ტრაღიკულათ გადაცვალების პატივცემის აღსანიშნავათ. გთხოვთ ამ ოცდა ხუთ მანეთიდან ხუთი მანეთი მოახმაროთ მუშათა კლასის ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობ“-ის ფონდს და დანარჩენი 20 მანეთი გადაეცეს ძირულის და ბელაგორის წიგნსაცავ სამკითხველოების სასარგებლოთ თითო თუმანი.

ამხ. მონდ. პ. ცქიტიშვილი.

—

გიგზავნით „ერთობის“ და „პაიკარის“ სასარგებლოთ 54 მანეთს ბაქოში „მეტროპოლში“ მოსამსახურე ამხანაგებში შეგროვილს.

ხ. ქოხაშვილი.

—

გიგზავნით ამხანაგებს შორის შეგროვილ 2 მ. 50 კ. „ერთობის“ სასარგებლოთ.

ჯ. ქ. სამულა—არამელი.

—

„ერთობის“ № 48 ში იყო: თფილისის რკინის გზის მოსამსახურეებმა ფონდისთვის გამოგზავნეს 14 მ. ქვეშ ეწერა ყარამან რუხაძე—უნდა იყოს რუსიძე.

—

ს. ერკეთი. (გურია). გიგზავნით 100 მანეთს საოლქო კომიტეტის ორგანოების სასარგებლოთ, შეკრებილს ერკეთის საზოგადოებაში 22 აპრილის აღსანიშნავათ.

მონდობილობით ა. თოდრია.

წერილები რედაქციის მიმართ.

ზემო-თავსურები. მადლობას უცხადებთ მოქალაქე ქ. ბ. კესარია პაფოძეს, რომელმაც ნაცნობ-მეგობრებ მოქალაქეთა შორის შეაგროვა შემოწირულებანი და აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს: ჩვენ ღარიბ სამკითხველოს სულ 61 მ.

სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით კოსტა ეზიეიშვილი.

ღია წერილი ტატო ოდიაშვილს, ალექსი ჟამიერაშვილს და გიგო ლოტულაშვილს.

ამათ საჯაროთ დამძახეს მძარცველი, ვიწვევ სამედიატორო სამართალში, დამიმტკიცონ როდის ან ვის რა წავართვი. ვაძლევ სამი კვირის ვადას, ჩემის მხრიდან ვნიშნავ მედიატორებათ: ვანო დურგლიშვილს და სანდრო მაისურაძეს.

მტყუანმა მხარემ თვითეულმა გადიხადოს ჯარიმა გაზეთი „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ ას ასი მანეთი.

დიმიტრი კახნიაშვილი.

„ერთობის“ № 32 ში მოთავსებულია ხონიდან მოკლე კორესპონდენცია, რომელშიაც ვიღაც „გულნარა“ ძველი მთავრობის მომხრეს მიწოდებს და უსამართლოთ ბრალს მდებს, თითქო მე „ყოფილი მეფის სურათის ჩამოღების წინააღმდეგი ვიყავი, სანამ ამის შესახებ წინადადება არ მივიღე ადგ. აღმასრულებელი კომიტეტისაგან“. ყველაფერი ეს სიცრუეა, ცილის წამებაა პირადი ინტერესებით შექმნილი და ამიტომ მოვითხოვ „გულნარასაგან“ თუ ის მოქალაქეა, აიხადოს ნიღაბი და გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში. დამიმტკიცოს მის მიერ წამოყენებული ბრალდებანი. განაჩენი გამოცხადდეს გაზ. „ერთობაში“. მედიატორებათ ჩემის მხრით ვასახელებ ათ. გ. ხარაბაძეს და დორეთე ფირცხალავას, ვადას ვაძლევ ათს დღეს წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ ბ. „გულნარას“ მოქმედებას შესაფერი სახელი ვუწოდო.

ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის დროებითი გამგე **ნიკო ვორონოვი.**

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ვანის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს ოცდა თუთხმეტი მან. და 70 კ.

ვანის უფასო წიგ.-საცავ სამკითხველოს გამგეობა.

11 მაისს ჩვენ სოფ. ონოღიაში დავარსეთ სახალხო, უფასო სამკითხველო, კარლო ჩხეიძის სახელობაზე, რომელიც სახსრის უქონლობის გამო დროებით მოთავსებულია ადგილობრივი სკოლის შენობაში. გთხოვთ დახმარება აღმოუჩინოთ ზემოხსენებულ სამკითხველოს გაზეთების გამოწერით, წიგნებით, ფულით და ნაცნობებში შემოწირულების შეგროვებით. იმედია, გულშემატკივრები აღმოუჩენენ ნივთიერ დახმარებას ამ ნორჩ კულტურულ დაწესებულებას. Бандза, Васили Джикія для библіотеки

გამგეობა.

—

P. S. გთხოვთ „სოციალ-დემოკრატს“ „ალიონს“ და „პირველ ნაბიჯს“ გადაბეჭდონ ეს წერილი.

მადლობას უცხადებთ მიხა ქვანიას მეორე ონტოფოს ახალ დაარსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ ფულის შეგროვებისათვის, სულ 256 მან.

პ. ც. მეორე ონტოფოს ბიბლიოთ. გამგეობა.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლექავა
შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.
10—6

მ. გ. მესრაპიანცი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავის ტვინის, —ტრიპერი, დიდი სოლენოიდი სპეციალური მეთოდები და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭავების, სისხლ ნაკლებობის, ქსილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, იშიასის, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

სტუდენტი პეტროგრადისა უნივერსიტეტის
(ყოფილი მასწავლებელი)
ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ ი გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

მატარებლების მიმოსვლა
ამიერ კავკასიის რკინის გზებზე
(ნაჩვენებია თფილისის დრო).

თფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№	8, 11	ს.	03	წ.	დილ.
„	სამგზ.	„	9, 10	„	13	„	საღ.
ბაქოსაკენ	საჩქ.	„	6, 11	„	18	„	დილ.
„	სამგზ.	„	8, 8	„	54	„	დილ.
„	საფ.	„	4, 9	„	28	„	საღ.
ყარსისაკენ	სამ.	„	4-8, 11	„	13	„	საღ.
თელავისაკენ		„	7 7	„	58	„	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამ.	№	10, 9	ს.	52	წ.	დილ.
„	საფ.	„	4, 8	„	38	„	საღ.
ხ.-ბორჯ.	სამ..	„	20, 7	„	48	„	დილ.
„	„	„	18, 10	„	12	„	საღ.
ბაქოდან	საფ.	„	8, 10	„	08	„	დილ.
„	სამგზ.	„	7, 4	„	12	„	საღ.
„	საჩქ.	„	5, 8	„	48	„	საღ.
თელავიდან		„	3, 7	„	58	„	საღ.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა გ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1